186
1969

186

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

65

№ 1

იანვარი — თებერვალი

1969 წ.

1168.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1969 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
2. სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ.
3. მე-11 წითელი არმიის მეომართა პატივსაცემად მამისონის უღელტეხილზე ობელისკის აგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 6 ნოემბრის № 866 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.
7. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ
8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისათვის დავის საქვეუწყებობის შეცვლის შესახებ.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ.
10. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
12. იმ საყოფაცხოვრებო მომსახურების სანიმუშო ნუსხის დამტკიცების შესახებ, რაც მოსახლეობას უნდა გაეწიოს საქართველოს სსრ სასოფლო რაიონებში.
13. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
14. სანიტარულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო იმ დაწესებულებათა ზეგეგმითი დაგროვების გამოყენების შესახებ, რაც მიღებულია სახელმეკრულებო სამუშაოთა შესრულებისათვის.
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 დეკემბრის № 984 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 ნოემბრის № 805 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
16. ქ. თბილისის ქუჩებისა და მოედნების დაგვისათვის სატარიფო განაკვეთის დამტკიცების შესახებ.
17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების დამტკიცების შესახებ.
18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებაში თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მეცნიერებას.

რესპუბლიკის მეცნიერებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში: შემუშავებულია სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, გამოყვანილია ჩაის, ხილის, ყურძნის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ახალი, მეურნეობრივად ძვირფასი ჯიშები, შემუშავებულია მოსავლიანობის ამაღლებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების პროგრესული საშუალებანი, შექმნილია ჩაის საკრეფი, ჩაის სასხლავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის და მინერალური სასუქების გამოყენების, მიწების მელიორაციის განხორციელებისა და სხვა საშუალებანი.

ამასთან ერთად, სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული გამოკვლევების მოცულობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ამოცანებს.

არ წარმოებს საკმაო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ისეთი საშიში მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ზომების შესამუშავებლად, როგორიცაა ნაძვის დიდი ლაფანჭამია, მალსეკო, თუთის ხეების ფოთლების სიხუჭუჭე. ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება თურქულის, ბრუცელოზისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა სხვა დაავადებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ღონისძიებანი.

სუსტად არის გაშლილი კოლხიდის დაბლობის დაჭაობიანებული მიწების ამოშრობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათი ათვისების სამუშაოები.

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაუმჯობესების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების ტემპების დაჩქარებაში მეცნიერების როლის გაძლიერების მიზნით და „სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 ოქტომბრის № 786 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 ოქტომბრის № 786 დადგენილება „სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“

დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას, საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს და რესპუბლიკის საცდელ სადგურებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის პრობლემებზე მუშაობენ.

დაევალოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო დაწესებულებათა შრომების ეფექტიანობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარების დაგეგმვის გაუმჯობესებას, სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას მათზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, იმისათვის, რომ მოკლე ვადებში აღმოიფხვრას შეუსაბამობა თეორიულ გამოკვლევებსა და მეცნიერების მიღწევების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში პრაქტიკულად გამოყენებას შორის; განამტკიცონ სამეცნიერო ორგანიზაციები მეცნიერთა მაღალკვალიფიციური კადრებით, დააჩქარონ სამეცნიერო-საწარმოო სადგომების მშენებლობა ამ დაწესებულებებისათვის, უზრუნველყონ ისინი საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობითა და მექანიზაციის საშუალებებით.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვის ორგანიზაცია და ამ მიზნით გამოსცეს უფასოდ გასავრცელებლად რეკომენდაციები, მეთოდური მასალები, ინსტრუქციები, კატალოგები, ფურცლები, ბუკლეტები, პლაკატები, სასტენდო ლიტერატურა და სახელმწიფო სანაშენო წიგნები;

ბ) იმ მიზნით, რომ უფრო ფართოდ იქნას გამოყენებული მათემატიკური მეთოდები და გაძთვლითი ტექნიკა სამეცნიერო გამოკვლევებსა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მომსახურების საქმეში, მოაწყოს 1969 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის განყოფილება;

გ) შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ახალი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და ლაბორატორიების შექმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს თავისი წინადადებანი, შეთანხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) შეისწავლოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია გადაეცეს სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების სარგებლობაში საუკეთესო მეურნეობანი იმ ანგარიშით, რომ თვითეულ ბუნებრივ-ეკონომიურ ზონაში არსებობდეს, როგორც წესი, ერთი ექსპერიმენტული მეურნეობა, რომელიც წარმოების დონის მხრივ წინ უსწრებს ზონის სხვა მეურნეობებს, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ფართოდ გაშალონ მუშაობა ნაძვის დიდი ლაფანჭამიას, მალსეკოს, თუთის ფოთლების სიხუჭუჭის, თურქულის, ბრუცელოზისა და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ზომების შემუშავებისათვის, ამასთან ჩაებან ამ მუშაობაში მაღალკვალიფიციური, გამოცდილი მეცნიერი მუშაკები.

4. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ შეიტანოს „საქსახწყალპროექტის“ 1969 წლის გეგმაში საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალქალაქის საყრდენი პუნქტის 300 ჰექტარი მიწის და სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგურის ყვარლის საყრდენი პუნქტის 60 ჰექტარი მიწის მორწყვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, აგრეთვე საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აჯამეთისა და გარდაბნის საცდელი სადგურების სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია; გაითვალისწინოს წყალთა მეურნეობის მშენებლობის 1970 წლის გეგმით აღნიშნული ობიექტების სამუშაოთა დაწყება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

5. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვნად გააძლიერონ კოლხიდის დაბლობის დაჭაობიანებული მიწების ამოშრობის და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მათი გამოყენების ტემპები.

6. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მშენებლობას და უზრუნველყონ საიჯარო სამუშაოთა განხორციელება წლიური გეგმებით დაწესებულ ვადებში.

7. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ შეადგინონ რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და მათი იმ ექსპერიმენტული ბაზების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისა და აღჭურვის ხუთწლიანი და პერსპექტიული გეგმები, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობენ.

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს საკითხი, რომ გადიდდეს 1969 წელს კაპიტალური დაბანდებანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მშენებლობისა და აღჭურვისათვის იმ თანხების ფარგლებში, რომლებიც სამინისტროს გამოეყო 1969 წელს კაპიტალური დაბანდებებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოიყოფა დარგით „სოფლის მეურნეობა“, კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება, 1970 წლიდან დაწყებული, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა კომპლექსების მშენებლობისა და უახლესი ლაბორატორიული მოწყობილობით, მანქანებითა და აპარატურით მათი აღჭურვისათვის.

9. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს საკითხი, რომ გაუდიდდეს 1969 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება 70 ათასი მანეთით პროპაგანდის მიზნებისათვის და თავისი წინადადებანი 1969 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს და რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორებს მიიღონ ზომები, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხარისხი რადიოთი ტრანსლირებული და ტელევიზიით გადაცემული მასალებისა სოფლის, წყალთა, სატყეო მეურნეობის საკითხებზე, ამასთან გასწიონ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გამოსცეს 1969 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული „რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემისა“ ქართულ და რუსულ ენაზე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ყოველწლიურად გამოსცეს ამ სამინისტროს შეკვეთით მეთოდური მასალები, ინსტრუქციები, კატალოგები, ფურცლები, ბუკლეტები, პლაკატები, სასტენდო ლიტერატურა და სახელმწიფო სანაშენო წიგნები 100 ნაბეჭდ ფურცლამდე საერთო მოცულობით ამ საბეჭდი ლიტერატურის უფასოდ გავრცელებისათვის;

ბ) აიყვანოს 1969 წელს ფასიანი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოცემა 230 ნაბეჭდ ფურცლამდე;

გ) დროზე დაბეჭდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ შეკვეთით სარეკლამო მასალები მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების რეკომენდაციებისა და წარმოებაში დანერგვისათვის, მეთოდური მასალები, ინსტრუქციები, კატალოგები, ფურცლები, ბუკლეტები წლიური მოცულობით: ინსტრუქცია-რეკომენდაციები — 100 ნაბეჭდი ფურცელი, პლაკატები — 30 და პროსპექტ-ფურცლები — 60 ნაბეჭდი ფურცელი.

12. გაუდიდდეთ მიწათმოქმედების, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის, მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს ყოველწლიურად გამოსაცემი მეცნიერული შრომების მოცულობა 10 ნაბეჭდი ფურცლით, ხოლო მეფუტკრეობისა და ეთერზეთოვანი კულტურების საცდელ სადგურებს — 3 ნაბეჭდი ფურცლით.

აღნიშნული შრომების გამოცემა დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს შეკვეთის საწყისებზე.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ამ დადგენილების საფუძველზე დასახოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კონკრეტული დახმარების აღმოჩენა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის სოფლის მეურნეობის დარგში.

14. მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტისას სოფლის მეურნეობის და მრეწველობის საერთო და მომიჯნავე საკითხების შეთანხმების, აგრეთვე იმ თეორიული პრობლემების შემუშავების დროს საკითხების კოორდინაციის მიზნით, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ამოცანების გადაწყვეტასთან, — მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიასთან გაერთიანებული საუწყებათაშორისო საბჭო მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაციისათვის სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს კომპლექსურ პრობლემებსა და მრეწველობასა და სხვა დარგებში ამასთან დაკავშირებული სხვა გამოკვლევების საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ დაამტკიცოს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით გაერთიანებული საუწყებათაშორისო საბჭოს პერსონალური შემადგენლობა.

15. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გაშალონ აქტიური მუშაობა ამ დადგენილების შესასრულებლად და ამის საფუძველზე მიაღწიონ სასოფლო-სამურნეო- წარმოების ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 4 თებერვალი, № 70.

ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დადგენილება № 786

1968 წლის 2 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მეცნიერებას.

საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაში. შეიქმნა და პრაქტიკაში დაინერგა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქტიული ჯიშები და ჰიბრიდები, გამოყვანილია ცხოველთა ახალი ჯიშები და ჯიშობრივი ჯგუფები, მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება იმისათვის, რომ შეიქმნას აგროტექნიკის პროგრესული ხერხები ქვეყნის სხვადასხვა ზონებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის, მინერალური სასუქებისა და მიწების მელიორაციის გამოყენების საშუალებათა შესაქმნელად, უმჯობესდება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული გამოკვლევების დონე და მოცულობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარების ამოცანებს.

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სოფლის მეურნეობის დარგში, გაძლიერდეს მეცნიერების როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარების ტემპების დაჩქარების საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ადგენენ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას მიიღონ გადაუდებელი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარების დაგეგმვის გაუმჯობესებას, იმას, რომ გაძლიერდეს სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მათზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თეორიულ გამოკვლევებსა და მეც-

ნიერების მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებას შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრისათვის მოკლე ვადებში.

2. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას", მათი ადგილობრივი ორგანოების და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში წარმოადგენს მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების შემუშავება და თანმიმდევრულად გაუმჯობესება ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიური რაიონებისათვის, ამ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის მრავალი წლის მოწინავე გამოცდილებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით.

მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საქსოფლტექნიკის" და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შემუშავებული ძირითადი მიმართულებანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ქიმიზაციის, ჰიდროტექნიკის, მელიორაციისა და სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში, აგრეთვე სხვა საკითხებზე, დანართის თანახმად, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ საჭიროა უახლოესი ხუთი — შვიდი წლის განმავლობაში მიღწეულ იქნას კონკრეტული გადაწყვეტილებანი უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში თეორიული პრობლემების და პრაქტიკული საკითხების შემუშავებისას სრულად გამოიყენონ მსოფლიო და სამამულო მეცნიერების მიღწევები, აამაღლონ სამეცნიერო გამოკვლევათა დონე, გააძლიერონ მათი ტემპები და უზრუნველყონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის უსწრაფესად დანერგვა წარმოებაში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებმა და სამეცნიერო კოლექტივებმა ვ .ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომპლექსურ თეორიულ გამოკვლევებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წამყვანი მიმართულებებით, რომლებიც ააშკარავებენ ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერებას, ხელს უწყობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის განვითარებასა და ამაღლებას.

3. სოფლის მეურნეობის დარგში თეორიული გამოკვლევების დონის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს თავმოყრილ იქნას ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიის გამგებლობაში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ძირითადი დარგების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ დაამტკიცონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ნუსხა, რომლებიც გადაეცემიან უშუალოდ ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას.

სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად, დაწესდეს დამატებით ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა.

4. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთო და მომიჯნავე საკითხების შეთანხმება სოფლის მეურნეობის და ისეთი სამრეწველო დარგების სფეროში სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის დროს, როგორიცაა ქიმიური, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, ხელსაწყომშენებლობის, ცელულოზა-ქაღალდის, კვების, მიკრობიოლოგიური, მედიცინის და ზოგიერთი სხვა დარგები, აგრეთვე საკითხების კოორდინაციისათვის ბიოლოგიის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ეკონომიკის დარგში და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ამოცანების გადაწყვეტასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა დარგში, — შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან გაერთიანებული საუწყებათაშორისო საბჭო სამეცნიერო გამოკვლევების კოორდინაციისათვის სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის და ამასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს კომპლექსურ პრობლემებზე სამრეწველო და სხვა დარგებში. დაწესდეს, რომ საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ორი თვის ვადაში დაამტკიცოს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით გაერთიანებული საუწყებათაშორისო საბჭოს პერსონალური შემადგენლობა.

საბჭოს მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შესაბამისი განყოფილება.

5. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას მოაწყოს აკადემიის განყოფილებები: სამხრეთის (ქ. კიევი), შუა აზიის (ქ. ტაშკენტი) და ციმბირის (ქ. ნოვოსიბირსკი).

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტონ აკადემიის განყოფილებათა სტრუქტურისა და შტატების საკითხები.

6. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, „საკსოფლტექნიკამ", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად:

განაგრძონ მუშაობა სამეცნიერო დაწესებულებების რაციონალურად განლაგებისათვის ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიური ზონების მიხედვით, მცირე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების გამსხვილებისა და არაეფექტიანი ასეთი დაწესებულებების გაუქმებისათვის;

დააზუსტონ თვითეული სამეცნიერო საკვლევი დაწესებულების ძირითადი ფუნქციები და კონკრეტული ამოცანები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცონ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ქსელი;

დააზუსტონ ექსპერიმენტული, საცდელი და სასწავლო-საცდელი მეურნეობების ქსელი და საჭიროების შემთხვევაში გაიფართოონ იგი იმი სხარზე, რომ გადასცენ სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების გამგებლობაში საუკეთესო მეურნეობანი, რათა ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) თვითეულ ნიადაგობრივ-კლიმატურ ზონაში, როგორც წესი, იყოს ერთი-ორი ექსპერიმენტული (სასწავლო-საცდელი) მეურნეობა, რომლებიც წარმოების დონის მხრივ წინუსწრებენ ზონის სხვა მეურნეობებს 5-10 წლით.

7. სასელექციო-მეთესლეობის მუშაობის ორგანიზაციის და მისი კოორდინაციის გაუმჯობესების, აგრეთვე ამ მუშაობის შემდგომი განვითარების მიზნით, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით 1969 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხაზით სასელექციო სამუშაოთა განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომლებიც სსრ კავშირში მოჰყავთ, ამასთან გაითვალისწინოს მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი და ბურღულოვანი კულტურების სელექციის სამეცნიერო ცენტრების შექმნა დადგენილი წესით ქვეყნის ძირითად სასოფლო-სამეურნეო ზონებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განამტკიცონ სამეცნიერო ცენტრები მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრებით, დააჩქარონ სამეცნიერო-საწარმოო სადგომების მშენებლობა ამ დაწესებულებაში, უზრუნველყონ ისინი საჭირო ლაბორატორიული მოწყობილობითა და მექანიზაციის საშუალებებით.

უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირველ რიგში მარცვლეული კულტურების, ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყვანის და-

საჩქარებლად, საჭიროდ ჩაითვალოს განხორციელდეს უახლოეს წლებში ხელოვნური ჰავის (ფიტოტრონების) სადგურების და საბუთების მშენებლობა სამეცნიერო ცენტრებთან.

8. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას გააუმჯობესონ მუშაობა უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უცხოეთის მეცნიერების მიღწევების სწრაფად შერჩევას, შემოწმებას და წარმოებაში დანერგვას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაში პერსპექტიული მიმართულებებისა და გამოკვლევების ახალი მეთოდების შესწავლას, იმას, რომ მოეწყოს უცხოეთის ქვეყნებთან ლექტორების, სტაჟირების, აგრეთვე სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გაცვლა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს, 1969 წლიდან დაწყებული, უცხოეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გეგმებით სამეცნიერო საერთაშორისო კავშირურთიერთობის გაფართოება აღნიშნულ საკითხებზე.

9. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს „სოფლის მეურნეობის“ დარგის მიხედვით გამოყოფილი სახსრების ფარგლებში გაადიდონ, 1969 წლიდან დაწყებული, კაპიტალური დაბანდებანი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების კომპლექსების მშენებლობისათვის და მათი აღჭურვისათვის უახლესი ლაბორატორიული მოწყობილობით, მანქანებითა და აპარატურით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის სამეცნიერო ცენტრებთან ხელოვნური ჰავის სადგურებისა და სათბურების მშენებლობისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს მიმდინარე ხუთწლედისათვის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გეგმის პროექტით სახსრების გადიდება ლაბორატორიული მოწყობილობისა და მცირეგაბარიტული ტექნიკის შესასყიდად საზღვარგარეთ, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის.

10. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლქეტნიკას“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს:

ა) შეადგინონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და მათი ექსპერიმენტული ბაზების ტექნიკური ხელახლა შეიარაღებისა და აღჭურვის ხუთწლიანი და პერსპექტიული გეგმები;

ბ) შეიმუშაონ 1969-1970 წლებში სასელექციო და საცდელი სადგურების და სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მშენებლობის, აგრეთვე ამ დაწესებულებების მუშაკებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეკისროს აღნიშნული სასელექციო და საცდელი სადგურების კომპლექსების დაპროექტება „გიპრონიისელხოზს“, ხოლო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კომპლექსების დაპროექტება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „გიპრონიის“.

11. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ პროპაგანდის მოწყობა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, აგრეთვე მოწინავე გამოცდილების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებაში. ამ მიზნით ნება დაერთოს მათ მათთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში გამოუშვან უფასო გასავრცელებლად წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის რეკომენდაციები, მეთოდური მასალები, ინსტრუქციები, კატალოგები, ფურცლები, ბუკლეტები, პლაკატები, სასტენდო ლიტერატურა და სახელმწიფო სანაშენო წიგნები.

12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად მიიღონ ზომები, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ხარისხი რადიო და ტელეგადაცემებისა სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის საკითხებზე, განსაკუთრებით მეცნიერების ტექნიკის მიღწევებისა და სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის დარგში.

13. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, 1969 წლის 1 იანვრამდე შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება სასოფლო-სამეურნეო, წყალთა სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების მიღწევების დანერგვის წესის შესახებ, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა გაძლიერდეს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო, წყალთა სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სხვა საწარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების პასუხისმგებლობა სასოფლო, წყალთა და სატყეო მეურნეობაში მეცნიერების, ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების მიღწევების დანერგვისათვის.

14. მეცნიერთა კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და მეცნიერებაში უფრო ნიჭიერი ახალგაზრდობის მოზიდვის მიზნით, შემოღებულ იქნას ცდის სახით 1969-1974 წლებში სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის ყველა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში მკვლევარი სტაჟიორის 300 თანამდებობა (ასპირანტურაში მიღების შემცირების ხარჯზე), ამასთან მიეცეთ მათ ორი წლის განმავლობაში ხელფასი 100 მანეთის რაოდენობით თვეში სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე.

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად, შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება აღნიშნულ მკვლევარ სტაჟიორთა შესახებ.

15. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინიკტროს, „საკსოფლტექნიკის“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან საკვლევ დაწესებულებათა მეცნიერი მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები კვლევის ახალი მეთოდების, ახალი ხელსაწყოებისა და სალაბორატორიო მოწყობილობის ათვისებისათვის წელიწადში 500 კაცის საერთო კონტინგენტით და სწავლების ვადით 3 თვემდე იმ პირობებში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 11 მარტის № 154 დადგენილებით.

16. სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში ისეთი შესანიშნავი სამეცნიერო შრომებისა და აღმოჩენების წახალისების მიზნით, რომლებსაც დიდი სამეცნიერო-თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ, დაწესდეს კ. ა. ტიმირიაზევის, ნ. ი. ვავილოვის, კ. კ. გედროიცის, ვ. რ. ვილიამსის, მ. ფ. ივანოვის, ვ. პ. გორიაჩკინის, გ. თ. მოროზოვის, ა. ნ. კოსტიაკოვის და ვ. ს. ნემჩინოვის სახელობის თითო ოქროს მედალი. დაწესებულ ოქროს მედლებს მიაკუთვნებს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია სამ წელიწადში ერთხელ.

ნება დაერთოს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიას მიანიჭოს აღნიშნული მედლები აგრეთვე უცხოეთის პროგრესულ მეცნიერებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებაში.

დაუწესდეთ პრემიები მეცნიერებს, სამეცნიერო კოლექტივებს და მათ ხელმძღვანელებს მაღალმოსავლიანი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მაღალპროდუქტიული ჯიშის პირუტყვისა და ფრინველის გამოყვანის დარგში შესანიშნავი შედეგებისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დიდეფექტიანი საშუალებების და სატყეო მეურნეობის გაძღოლის მეთოდების შემუშავებისათვის, სოფლისა და სატყეო მეურნეობისათვის სასუქებისა და

პრეპარატების ახალ სახეობათა შექმნისათვის, ახალი, სრულყოფილი სასოფლო-სამეურნეო, სამელიორაციო და სატყეო სამეურნეო მანქანების კონსტრუქციების შემუშავებისათვის, აგრეთვე დიდი ეკონომიური გამოკვლევებისა და სხვა შესანიშნავი მიღწევებისა და აღმოჩენისათვის სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, შეიმუშაონ დებულება აღნიშნული ოქროს მედლებისა და პრემიების მინიჭების წესის შესახებ, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტას საჭიროებენ, წარმოუდგინონ წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

17. დაევალოთ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მოკავშირე და ავონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებს, საოლქო აღმასკომებს და რაიაღმასკომებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულებებს მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაში.

* *
*

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერები ყველაფერს მოიმოქმედებენ იმისათვის, რომ მკვეთრად აამაღლონ სამეცნიერო გამოკვლევების ეფექტიანობა და სოფლის მეურნეობის მშრომელებთან ერთად მიაღწევენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების შემდგომ აღმავლობას, შექმნიან პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მრეწველობისათვის ჩვენს ქვეყანაში.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 2 ოქტომბრის № 786
დადგენილების დანართი

ნუსხა

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებებისა სოფლის მეურნეობის, მიწების მელიორაციისა და სატყეო მეურნეობების დარგში

1. **სოფლის, სამელიორაციო და სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის დარგში** — შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შესწავლა და გაუმჯობესება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და მათი მომსახურების სფეროს საწარმოებში; სოფლის მეურნეობის დარგის, სოფლად საზოგადოებრივ ეკონომიურ ურთიერთობათა და სოფლის გარდაქმნის პრობლემების განვითარების შეფარდებით სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედების გამოკვლევა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საშუალებების, ხანგრძლივი პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიური პროგნოზების, მიწისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების მეთოდების შემუშავება; დაგეგმარების მეთოდების სრულყოფა; მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოების, მათი ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების და სოფლის, წყალთა და სატყეო მეურნეობის დარგების რენტაბელობის ზრდის სტიმულირების ეკონომიური ზომების შემუშავება; კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიური ზონების შეფარდებით სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური პროპორციების, მათი განვითარების ტემპების, განლაგების დადგენა, მისი თანმიმდევული ინტენსიფიკაციის კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე; სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემების სრულყოფა და შრომის პირობების გაუმჯობესება; გამოკვლევების გაფართოება ფასების შექმნის დარგში; სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და შესასყიდი ფასების სისტემების სრულყოფა.

2. **მიწათმოქმედების დარგში** — ქვეყნის სხვადასხვა კლიმატური რაიონებისათვის მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების შემუშავება და თანმიმდევრულად გაუმჯობესება ამ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალწლიანი მოწინავე გამოცდილების, მათი ეკონომიური განვითარების პერსპექტივების, იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზაციის გათვალისწინებით, რომლებიც ვითარდებიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრული მექანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე მიწათმოქმედებაში ქიმიზაციის საშუალებათა ფართოდ გამოყენებით. მიწის უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა შემუშავება; წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვის კომპლექსურ საშუალებათა შემუშავება; მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა; მყარი საკვები ბაზის შექმნა, რაც უზრუნველყოფს ცხოველთა ყველა ელემენტის მიხედვით ბალანსირებულ კვებას, ცილოვანი და ამინმჟავას დეფიციტის ლიკვიდაცია უახლოეს წლებში; ხანგრძლივი აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების აგროკლიმატური დასაბუთებების სრულყოფა.

3. **სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში** — მინერალური სასუქების დროულად მიტანის სისტემის შემუშავება, ხოლო მჟავე ნიადაგებიან რაიონებში — აგრეთვე კიროვანი მასალებისა თვითეული რაიონისათვის საჭირო რაოდენობითა და ასორტიმენტის მიხედვით, სასუქებისა და კირის რაც შეიძლება ნაკლები გადაცლით, ნაკლები დანაკარგებითა და გადაზიდვის ნაკლები ხარჯებით შენახვა და ნიადაგში შეტანა, ყველა პროცესის სრული მექანიზაციის საფუძველზე; შემუშავება მცენარეთა კვების ძირითადი საფუძვლებისა და ნივთიერებათა წრებრუნვის რეგულირების მეთოდებისა ბუნებაში საერთოდ და მიწათმოქმედებაში კერძოდ, მინერალურ ნივთიერებათა ოპტიმალური თანაფარდობის დაცვის საშუალებებისა, მიკროელემენტების ჩათვლით, ნიადაგსა და მცენარეებში; სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოყიერების სისტემების სრულყოფა, სასუქების, განსაკუთრებით კომპლექსური და კონცენტრირებული სასუქების, ახალ სახეობათა გამოძებნა; ნიადაგების ქიმიური მელიორაციის ხერხების შემდგომი სრულყოფა; იმის შესწავლა, თუ რა გავლენას ახდენენ მინერალური სასუქები და სხვა ქიმიური პროდუქტები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხსა და ბიოლოგიურ სრულფასოვნებაზე, აგრეთვე ბუნებასა და წონასწორობაზე ბიოლოგიურ სფეროში; დაავადებისა, მავნებლებისა და სარეველებისაგან მცენარეთა დაცვის ახალი აგროტექნიკური, ბიოლოგიური, ქიმიური და სხვა საშუალებების შექმნა და არსებული საშუალებების სრულყოფა.

4. **მემცენარეობის დარგში** — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და ტყის ჯიშების გენეტიკის, ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ძირითადი პრობლემების შემუშავება განსაკუთრებით ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის მართვის გზების ძიება; ფიზიოლოგიური აქტიური შენაერთებისა და სხვა ფაქტორების დახმარებით მცენარეთა ნივთიერების ცვლის, ზრდისა და განვითარების მართვის მეთოდების გამოძებნა; სელექციისა და მეთესლეობის უფრო ეფექტიანი მეთოდების შემუშავება, ისეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანა, რომლებსაც მოეპოვებათ ძვირფასი ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშნებისა და თვისებათა კომპლექსი; მსოფლიო მცენარეული რესურსების შეგროვება, შესწავლა და სელექციაში გამოყენება; გეტეროზისის, იმუნიტეტის, ზამთარგამძლეობის, გვალვაგამძლეობის ისეთი პრობლემების შემუშავება, რომლებიც გვიჩვენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური თვისებების ეფექტიანად გამოყენების ახალ გზებს; ნათესებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულებს ფოტოსინთეზური უნარის ამაღლების გზების შემუშავება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლების მეთოდებისა და ხერხების და მათი შენახვის საშუალებათა შემუშავება.

11168

5. **მეცხოველეობისა და ვეტერინარიის დარგში** — თეორიული გამოკვლევების განვითარება გენეტიკის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ცხოველთა კვების, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის წამყვან პრობლემებზე; გეტეროზისის პრობლემების შემუშავება, ცხოველთა და ფრინველის სამრეწველო ჯვარებისა და ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანის მეთოდების სრულყოფა, ცხოველთა ახალი, უფრო პროდუქტიული ჯიშებისა და ხაზების შექმნა და არსებულის გაუმჯობესება მათი გამოყენების ხასიათის და პროდუქციის ხარისხისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით; ცხოველთა კვების ნორმებისა და რაციონების და კომბინირებული საკვების შემადგენლობის გაუმჯობესება ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიური ზონების შესაბამისად; გამოკვლევების გაფართოება მეცხოველეობაში ქიმიური პრეპარატების გამოყენებისათვის, განსაკუთრებით საკვების კონსერვირებისა და მისი მინერალური დანამატებით, მიკროელემენტებით, ამინმჟავებით, ვიტამინებით, ანტიბიოტიკებით გამდიდრებისათვის და ცხოველთა ორგანიზმზე ამ ნივთიერებათა გავლენის შესწავლისათვის; ინფექციურ დაავადებათა თავიდან აცილების, ადრეული დიაგნოსტიკისა და ლიკვიდაციის უფრო სრულყოფილი საშუალებებისა და მეთოდების, პარაზიტების, მიკრობული და ვირუსული დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური საშუალებების, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა, განსაკუთრებით მოზარდეულის, არაგადამდებ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის საშუალებათა შემუშავება. ქმედითი საშუალებების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ინფექციური და ინვაზიური დაავადების — თურქულის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, აგრეთვე ლეიკოზისა და სხვა დაავადების ლიკვიდაციისათვის.

6. **მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დარგში** — მიწათმოქმედების მექანიკის საფუძვლების და ტექნიკურ მეცნიერებათა სხვა განყოფილების შემდგომი შემუშავება სოფლის, სატყეო და წყალთა მეურნეობასთან შეფარდებით; სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა, ელექტროფიკაციისა და ავტომატიზაციისათვის უფრო სრულყოფილი ტექნიკური საშუალებებისა დამანქანათა სისტემების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გადაყვანას ინდუსტრიულ საფუძველზე; სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის გამოყენების უფრო სრულყოფილი საშუალებების გამოძებნა; მეცხოველეობისა და მეფრინველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიისა და ამ ტექნოლოგებით გათვალისწინებული კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ავტომატიზაციის პროცესებისათვის მანქანათა სისტემების შემუშავება; სოფლის, სატყეო და წყალთა მეურნეობაში მანქანა-ტრაქტორთა პარკის და სხვა მოწყობილობის გამოყენების მეთოდების სრულყოფა; ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რაციონალური აგრეგატების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება; საწარმოო პროცესების მექანიზაციის პრინციპულად ახალი გადაწყვეტის ძიება ელექტრონიკის, ტელემექანიკისა და მეცნიერების და ტექნიკის სხვა დარგების მიღწევების საფუძველზე.

7. **ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის დარგში** — რწყვის მექანიზაციის მაღალმწარმოებლურ საშუალებათა შექმნა, განსაკუთრებით მარცვლეული

კულტურებისათვის; თეორიული გამოკვლევების განვითარება სამელიორაციო ჰიდროლოგიის, ჰიდროგეოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ჰიდროტექნიკისა და სხვა პრობლემების მიხედვით; ქვეყნის სხვადასხვა ზონებში წყალთა მეურნეობის მშენებლობის დაგეგმარების ძირითადი საფუძვლების, სსრ კავშირის ტერიტორიაზე წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და გადანაწილების პრინციპების, აგროკლიმატური და სამელიორაციო დარაიონების პრინციპების შემუშავება; ჰიდროსამელიორაციო სისტემებისა და ნაგებობების (მათ შორის ნიადაგის წყლის რეჟიმის ორმხრივი რეგულირების სისტემების) შემდგომი სრულყოფა; სარწყავი, ამოსაშრობი და გასაწყლიერებელი სისტემების მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მეთოდების შემუშავება; სარწყავი მიწების დამლაშებისა და დაჭაობიანების თავიდან აცილების და მათთან ბრძოლის სრულყოფილი საშუალებების შემუშავება; მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით ადგილობრივი დინების წყლების გამოყენების საშუალებათა შემუშავება.

8. **აგროსატყეო მელიორაციისა და მეტყველების დარგში** — ტყის სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენების, აღდგენისა და გამრავლების, ტყის საცავი და წყალმარეგულირებელი ფუნქციების ამაღლების საშუალებათა შემუშავება; მეტყველებისა და აგროსატყეომელიორაციის მეცნიერული საფუძვლების, იმის საშუალებათა შემდგომი სრულყოფა, რომ ამაღლდეს საცავი ტყის გაშენების ეფექტიანობა და ტყეების ნაყოფიერება ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიური ცალკეული ზონების შეფარდებით; მცენარეთა დაავადებისა და მავნებლებისაგან ტყეების დაცვის ეფექტიანი საშუალებების, აგრეთვე ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავება.

---

2 სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 728 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 12 სექტემბრის № 728 დადგენილება „სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სახმშენს სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების, აგრეთვე დაბებისა და სოფლების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შედგენისადმი ხელმძღვანელობა.

დაევალოთ საპროექტო ინსტიტუტს „საქსოფლმშენსახპროექტს“ და მის ფილიალებს შეიმუშაონ აღნიშნული პროექტები, რისთვისაც მოიზიდონ ამ მუშაობისათვის დადგენილი წესით სხვა საპროექტო ინსტიტუტები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს:

ა) განახორციელოს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო რაიონების რაიონული დაგეგმარების პროექტების და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება, რომლებითაც გათვალისწინებულ იქნას საწარმოო სპეციალიზაცია და წინათ შედგენილ პროექტებში შეტანილი დაზუსტებანი, №№ 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა საწარმოთა წლიური გეგმების დამტკიცების დროს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმების საჭირო დაზუსტებანი რაიონული დაგეგმარების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შედგენისათვის;

ბ) 1969 წელს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად „სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესები“ და სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების, აგრეთვე დაბებისა და სოფლების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესი.

სოფლად დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა პირობები, აგრეთვე ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის ყოფაცხოვრების ისტორიულად შექმნილი ტრადიციები და ეროვნული თავისებურებანი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბებს უნდა ექნეს მიმზიდველი არქიტექტურული სახე და მათი დაპროექტებისა და განაშენიანებისას შემოქმედებითად უნდა იქ-

ნას გამოყენებული როგორც თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო მიღწევები, ისე ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობაც.

დაეკისროს სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანებისადმი კონტროლი საქართველოს სსრ სახმშენს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივ ორგანოებს.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით:

ა) შეიმუშაოს საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები, ამასთან გაითვალისწინოს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებანი კეთილმოწყობის მხრივ სხვადასხვა ტიპის სახლებსა და ბინებზე, საბინაო მშენებლობის დაფინანსების შესაძლებლობანი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აგრეთვე ის, მოეპოვებათ თუ არა დამხმარე მეურნეობანი კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის ინტელიგენციას.

საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინოს, რომ საჭიროა სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლება, შენობათა რაციონალურად გამსხვილება და ბლოკირება, მათი კომპლექსურად განლაგება სოფლის დასახლებული პუნქტების საზოგადოებრივ ცენტრებში;

ბ) შეარჩიოს 1969 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და რესპუბლიკის იმ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებიც ახორციელებენ სოფლად მშენებლობას, კატალოგების ნუსხიდან საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი შენობების საუკეთესო მოქმედი ტიპობრივი პროექტები, რათა გამოყენებულ იქნან ისინი სოფლის დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროს.

ტიპობრივი პროექტების შერჩევისას მოაწყონ მათი გულმოდგინე განხილვა ფართო საზოგადოებრიობისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

იმ მიზნით, რომ ფართოდ გაეცნონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და მოსახლეობა რეკომენდებულ პროექტებს, გამოსცეს მასობრივი ტირაჟით და დაუგზავნოს ადგილებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების ილუსტრირებული ფერადი კატალოგები, აგრეთვე სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საპროექტო გადაწყვეტის ალბომები.

საქართველოს სსრ სახმშენმა მოამზადოს მთელი საჭირო მასალა, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს მისი გამოცემა.

5. სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების, სოფლად საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში უმნიშვნელოვანეს წინადადებათა და სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ყოველმხრივი ექსპერიმენტული შემოწმების მიზნით, დაევალოთ საქარ-

თველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შეარჩიონ ორი კოლმეურნეობა და ორი საბჭოთა მეურნეობა, რომლებისთვისაც შეიმუშაონ 1969—1970 წლებში დაგეგმარების პროექტები იმ ანგარიშით, რომ 1971 წელს მოეწყოს მათში კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობა დაგეგმარების ყველაზე პროგრესული ხერხების, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ახალი ტიპობრივი პროექტების, აგრეთვე მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დამლევამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განხორციელდეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საჩვენებელი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა ამ მიზნისათვის შემუშავებული პროექტების მიხედვით და შემდგომ გაუმჯობესდეს ეს პროექტები და პროპაგანდა მათ სასარგებლოდ.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, რომლებიც ეწევიან სოფლად მშენებლობას, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სოფელ ადგილებში საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის განვითარებისათვის, ამასთან გაითვალისწინონ ამ ღონისძიებებით, სახალხო-სამეურნეო გეგმებით დაწესებულ დავალებათა გათვალისწინებით, მშენებლობის მოცულობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო საბინაო მშენებლობისა — აგრეთვე მოსახლეობის სახსრების ხარჯზედაც.

8. შეტანილ იქნას 1969 წლის 1 იანვრიდან მშრომელთა დეპუტატების სასოფლო რაიონული და ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შტატებში რაიონული არქიტექტორის 48 თანამდებობა, № 4 დანართის თანახმად, ხელფასის 5830 მანეთის თვიური ფონდით, ამ პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის თვიური ფონდის ხარჯზე, რაც თავისუფლდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ოქტომბრის № 541 დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად.

გათვალისწინებულ იქნას 1970 წლის ბიუჯეტის პროექტით სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შტატებში სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორთა თანამდებობანი.

შეიქმნას სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები, რომლებიც ადგილებზე გააფორმებენ მიწის ნაკვეთების გამოყოფას მშენებლობისათვის, განსაზღვრავენ განაშენიანების წითელ ხაზებს და შეასრულებენ ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ამ სამეურნეო ანგარიშის ჯგუფებისათვის საჭირო პერსონალის რაოდენობა და ხელფასის სათანადო ფონდები.

დაწესდეს, რომ რაიონულ არქიტექტორებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა სოფლის დასახლებული პუნქტების სწორი დაგეგმარებისა და განაშენიანებისათვის, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად.

9. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ შექმნას ერთიანი გეგმით საწარმოო-ტექნიკური ბაზები სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან უზრუნველყონ ინდუსტრიული მეთოდების დანერგვა სასოფლო მშენებლობაში, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენება და ადგილობრივი საშენი მასალებით ფართოდ სარგებლობა.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საპროექტო ინსტიტუტის — „საქსოფლმშენსახპროექტის“ ბაზის გაძლიერების, ამ დადგენილებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოთა დაფინანსებისა და საჭირო ლიმიტებით უზრუნველყოფის საკითხები.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სასოფლო მშენებლობის ყველა მუშაკთან, სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების კოლექტივებთან ერთად, მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალღონეს მოახმარენ სოფლად საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ძირეულად გაუმჯობესებას, რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების კეთილმოწყობას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. როდიონოვი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 4 თებერვალი, № 74.

ასლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 728

1968 წლის 12 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

სოფლად მშენებლობის მოწესრიგების შესახებ

უკანასკნელი წლების ძანძილზე ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განხორციელებულია დიდი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება სოფლის მეურნეობაში და სოფლის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის ამაღლება.

წლითიწლობით იზრდება საწარმოო, საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მოცულობა, რაც ხორციელდება სოფელ ადგილებში. დიდი მუშაობა ტარდება იმისათვის, რომ გარდაიქმნან ძველი სოფლები, სტანიცები, ყიშლაკები, აულები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანამედროვე კეთილმოწყობილ დაბებად.

ამასთან ერთად, სოფლის დასახლებული პუნქტების განაშენიანების პრაქტიკას ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სახსრებს საკმაო ეფექტიანად ვერ იყენებენ, ბევრი დასახლებული პუნქტის არქიტექტურული და დაგეგმარებითი გადაწყვეტა და დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, მეტწილ შემთხვევებში მათი განაშენიანება წარმოებს დასახლებული პუნქტების განვითარების რაიმე გეგმების გამოუყენებლად.

დიდ სახელმწიფობრივ მნიშვნელობას ანიჭებენ რა სოფლად მშენებლობის გაუმჯობესების საქმეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორა-

ციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სასოფლო მშენებლობის დარგში ჩაითვალოს დასახლებული პუნქტების თანდათანობით გარდაქმნა კეთილმოწყობილ დაბებად კარგი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებით, რომლებიც აკმაყოფილებენ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, და შესაბამისი წარმოებებით, რომლებიც საშუალებას მისცემენ შექმნან ყველა პირობა სოფლის მოსახლეობის მაღალმწარმოებლური შრომისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისათვის, აგრეთვე უზრუნველყოფენ მოსახლეობის დასაქმებულობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს.

ასეთი კეთილმოწყობილი დაბების მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისად რაიონული დაგეგმარების პროექტებისა და ამ დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებისა, რომლებიც შემუშავდება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების განვითარების გეგმებისა და მათი საწარმოო სპეციალიზაციის საფუძველზე, აგრეთვე სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებისა და განლაგების პერსპექტიულ გეგმასთან დაკავშირებით.

სოფელ ადგილებში კეთილმოწყობილი დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა პირობები, მოსახლეობის ეროვნული თავისებურებანი, მახლობელი ლანდშაფტი. სოფელ ადგილებში დაბებს უნდა ჰქონდეთ მიმზიდველი არქიტექტურული სახე და დაპროექტებისა და მათი განაშენიანების დროს შემოქმედებითად უნდა იქნას გამოყენებული თანამედროვე არქიტექტურის საუკეთესო მიღწევები და ხალხური ხუროთმოძღვრების მდიდარი მემკვიდრეობა.

2. დაეკისროთ სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებს სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების და დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებისადმი ხელმძღვანელობა, აღნიშნული პროექტების შემუშავება უნდა ხორციელდებოდეს, როგორც წესი, მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების იმ საპროექტო ორგანიზაციების ძალებით, რომლებიც სპეციალიზებული არიან სასოფლო მშენებლობის დარგში, ამასთან აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად მოზიდულ უნდა იქნან სამოქალაქო მშენებლობის რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და სამხარეო საპროექტო ორგანიზაციები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის მიწათმოწყობის ინსტიტუტები და საკოლმეურნეობათაშორისო საპროექტო ორგანიზაციები.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს განხორციელდეს უახლოესი 5 წლის განმავლობაში რაიონული დაგეგმარების პროექტების და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება, რომლებითაც დაწესებულია საწარმოო სპეციალიზაცია, აგრეთვე შეტანილ იქნას საჭირო დაზუსტებანი წინათ შედგენილ პროექტებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ წლიური გეგმებით საბიუჯეტო ასიგნებათა და ლიმიტების გამოყოფა დასაპროექტებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებას.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გაითვალისწინონ მეურნეობათა განვითარების წლიური და პერსპექტული გეგმებით კოლმეურნეობათა ცენტრალური კარმიდამოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შემუშავება კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის დახმარებით.

4) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) დაადგინონ სასოფლო-სამეურნეო რაიონების დაგეგმარების პროექტების და დაბების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესი.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ამ პროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე მშენებლობისა და არქიტექტურის სპეციალისტებმა, საოლქო და რესპუბლიკური ორგანიზაციების მუშაკებმა;

ბ) დაამტკიცონ 1969 წელს სასოფლო-დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური მენაშენეებისათვის;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ სოფლის დასახლებული პუნქტების განაშენიანებას, გააძლიერონ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

დ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სოფელ ადგილებში საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის განვითარებისათვის, გაითვალისწინონ ამ ღონისძიებებით, სახალხო-სამეურნეო გეგმებით განსაზღვრულ დავალებათა საფუძველზე მშენებლობის მოცულობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო საბინაო მშენებლობისა — აგრეთვე მოსახლეობის სახსრების ხარჯზეც;

ე) ყოველნაირად შეუწყონ ხელი იმას, რომ ფართოდ განვითარდეს სოფელ ადგილებში მუშათა, მოსამსახურეთა და სოფლის ინტელიგენციის კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა, აგრეთვე საბინაო მშენებლობა, რომელიც ხორციელდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ფონდებისა და კოლმეურნეთა სახსრების ხარჯზე;

ვ) გადაწყვიტონ საკითხი, რომ შეტანილ იქნას სასოფლო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შტატებში რაიონული არქიტექტორებისა და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორების თანამდებობანი, აგრეთვე შეიქმნას სამეურნეო ანგარიშის ჯგუფები, რომლებიც ადგილზე გააფორმებენ მიწის ნაკვეთების გამოყოფას მშენებლობისათვის, განსაზღვრავენ განაშენიანების წითელ ხაზებს და შეასრულებენ ამასთან დაკავშირებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოებს. რაიონული არქიტექტორებისა და ინჟინერ-ინსპექტორების შენახვის ხარჯები გაწეულ იქნას ისე, რომ არ გადიდდეს ასიგნებანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახად შესაბამის მოკავშირე რესპუბლიკაში.

დაწესდეს, რომ რაიონულ არქიტექტორებს და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა სასოფლო დასახლებული პუნქტების სწორად დაგეგმარებისა და განაშენიანებისათვის, დამტკიცებული პროექტების შესაბამისად.

5. სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაამტკიცოს 1969 წელს სოფლად მშენებლობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტების ახალი ნორმები.

აღნიშნული ნორმების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, აგრეთვე ეროვნული თავისებურებანი, სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფაცხოვრების სპეციფიკა.

6. დაწესდეს, რომ სასოფლო მშენებლობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტები უნდა შეიმუშაონ, როგორც წესი, რესპუბლიკურმა საპროექტო ორგანიზაციებმა და დაამტკიცონ მოკავშირე რესპუბლიკების სახმშენებმა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან შეთანხმებით.

სოფელ ადგილებში მშენებლობისათვის ყველაზე რთული შენობების ტიპობრივ პროექტებს შეიმუშავებენ ცენტრალური საპროექტო ინსტიტუტები და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

7. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულმა სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყონ საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების შემუშავება, ამასთან გაითვალისწინონ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება კეთილმოწყობის მხრივ სხვადასხვა ტიპის სახლებსა და ბინებზე, საბინაო მშენებლობის დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობანი, მოეპოვებათ თუ არა დამხმარე მეურნეობანი კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის ინტელიგენციას.

საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების შემუშავებისას გაითვალისწინონ, რომ საჭიროა სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლება, შენობათა რაციონალური გამსხვილება და ბლოკირება, მათი კომპლექსური განლაგება სასოფლო დასახლებული პუნქტების საზოგადოებრივ ცენტრებში;

ბ) გადასინჯონ 1968 წელს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და იმ სხვა სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, რომლებიც მშენებლობას ახორციელებენ სოფლად, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების მოქმედი ტიპობრივი პროექტების ნუსხები და შეარჩიონ მათგან საუკეთესო ტიპობრივი პროექტები სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების დროს გამოსაყენებლად.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ ტიპობრივი პროექტების შერჩევისას მოეწყოს მათი გულმოდგინე განხილვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სათანადო სპეციალისტების ფართო მონაწილეობით.

იმ მიზნით, რომ ფართოდ გაეცნონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და მოსახლეობა რეკომენდებულ პროექტებს, მიზანშეწონილად ჩაითვალოს გამოიცეს მასობრივი ტირაჟით და დაეგზავნოს ადგილებს საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების ილუსტრირებული ფერადი კატალოგები, აგრეთვე სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმარების, განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საპროექტო გადაწყვეტის ალბომები.

სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები აღნიშნული მასალების მომზადებისა და სისტემატურად გამოცემისათვის.

8. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ და ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ, სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო დაწესებულებათა მონაწილეობით, გააფართოონ სამეცნიერო გამოკვლევები სოფლად წარმოების განვითარების პერსპექტიული მიმართულებების, სასოფლო რაიონებში ადამიანთა დასახლების ხაზით, აგრეთვე შეასრულონ სოფლის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოები.

9. დაეკისროს სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა კოორდინაცია სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების, მათი საინჟინრო მოწყობისა და კეთილმოწყობის, სოფელ ადგილებში მშენებლობისათვის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების შემუშავების ხაზით, იმ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს ასრულებენ,

10. დაწესდეს, რომ უმნიშვნელოვანესმა წინადადებებმა და სამეცნიერო-საკვლევმა სამუშაოებმა სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების, სოფლად საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში, უნდა გაიარონ ყოველმხრივი ექსპერიმენტული შემოწმება. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ მოაწყონ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების დაბების კომპლექსური ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობა, უზრუნველყონ 1969—1975 წლებში თვითეულ ოლქში, მხარესა და ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთიორი ასეთი დაბის განაშენიანება, დაგეგმარების ყველაზე პროგრესული ხერხების, საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ახალი ტიპობრივი პროექტების, აგრეთვე მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების გამოყენებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეარჩიონ სასოფლო-სამეურნეო რაიონები, რომლებისთვისაც პირველ რიგში უნდა იქნას შემუშავებული დაგეგმარების პროექტები, და შეუდგნენ ამ რაიონების დასახლებული პუნქტების განაშენიანებას იმ ანგარიშით, რომ ამ მშენებლობის გამოცდილება შესწავლილ და გამოყენებულ იქნას სხვა რაიონებში.

11. სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ ზომები, რათა შეიქმნას ერთიანი გეგმით სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებისათვის საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას სასოფლო მშენებლობაში და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ადგილობრივი საშენი მასალებით ფართოდ სარგებლობას.

წინადადება მიეცეთ სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყონ მუშაობა, რათა მოიზიდონ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები და შეასწავლონ მათ სამშენებლო სპეციალობა იმ ანგარიშით, რომ მონაწილეობა მიიღონ მათ სოფლად წარმოებულ მშენებლობაში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

12. საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და სახალხო მეურნეობის მიღწევათა რესპუბლიკურ გამოფენებზე სოფლის დასახლებული პუნქტების გარდაქმნის მოწინავე გამოცდილების ფართო ჩვენება, რომლის დროსაც დემონსტრირებულ იქნას ბინების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ცალკეული შენობების საუკეთესო ნიმუშები, აგრეთვე ფართოდ გაშუქდეს სასოფლო მშენებლობის მოწინავე გამოცდილება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

*

* *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და

კომკავშირული ორგანიზაციები სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან, სამშენებლო, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების კოლექტივებთან ერთად, მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალღონეს მოახმარენ სოფლად საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაუმჯობესებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაბების კეთილმოწყობას.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

3 მე-11 წითელი არმიის მეომართა პატივსაცემად მამისონის უღელტეხილზე ობელისკის აგების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად აგებულ იქნას მამისონის უღელტეხილზე ობელისკი მე-11 წითელი არმიის იმ მეომართა პატივსაცემად, რომლებმაც წარმატებით გადმოლახეს უღელტეხილი 1921 წლის თებერვალში, რათა ძმური დახმარება გაეწიათ საქართველოს მშრომელებისათვის იმ ბრძოლაში, რასაც ისინი ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

2. შემკვეთის ფუნქციები დაეკისროს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და დაევალოს მას დაამთავროს ობელისკის აგება 1970 წლის დამლევამდე, ამასთან უზრუნველყოს მისი მაღალი იდეურ-მხატვრული დონე.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. მჟავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1969 წლის 25 თებერვალი, № 109.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 6 ნოემბრის № 866 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 6 ნოემბრის № 866 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (სსრ კავშირის სახმშენი) დებულების, აგრეთვე კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 26 იანვრის № 60 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 27 მაისის № 573 განკარგულება;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 ივლისის № 418 დადგენილება „ქიმიური საწარმოების მშენებლობის თავმოყრის რაიონებში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა ინდუსტრიული ბაზის განმტკიცების შესახებ“.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 6 ნოემბრის № 866 დადგენილებით გაუქმებულია:

ა) მე-14 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს დადგენილებისა „მშენებლობაში დაგეგმვის მოწესრიგების, სამეურნეო ანგარიშის, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 ოქტომბრის № 586 დადგენილებასთან ერთად;

ბ) მე-11 პუნქტის მეორე აბზაცი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აპრილის № 428 დადგენილებისა „მშენებლობაში დასაქმებულ სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებისა და მშენებლობების სპეციალისტებით უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმების ნაწილში (დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 16 მაისის № 612 განკარგულებასთან ერთად).

გ) პუნქტები 4 და 6 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ივლისის № 904 დადგენილებისა „გაუქმებული საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების საპროექტო ორგანიზაციების სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში გადაცემის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) პუნქტები 9 და 11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 აპრილის № 449 დადგენილებისა „საზოგადოებრივი შენობების შიდამოპირკეთებაში, გაწყობასა და შინაგან მორთულობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მაისის № 433 დადგენილებასთან ერთად;

ე) პუნქტი 22 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 ნოემბრის № 1173 დადგენილებისა „მშენებლობების ხარისხოვანი და ეკონომიური საფურგლო ნაკეთობებისა და გარანდული გრძივული დეტალებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 3 იანვარი, № 1.

5 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აგვისტოს № 508 დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 13 იანვარი, № 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 13 იანვრის № 23
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო პასუხისმგებელია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების ხარისხისათვის, სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება სპეციალისტებზე.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— განავითაროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემა იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე;

— მოამზადოს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც მოეპოვებათ ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები სპეციალობაში, რომლებიც დაეუფლნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და აღზრდილი არიან მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით;

— შეასრულოს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების დავალებანი და სახელმწიფო გეგმით დაწესებული სხვა დავალებანი, უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

— სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებას, აგრეთვე საერთო მეთოდური ხელმძღვანელობა იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მუშაობენ;

— მოამზადოს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები და აამაღლოს მათი კვალიფიკაცია, აგრეთვე უფრო ეფექტიანად გამოიყენოს ეს კადრები ქვესაუწყებო სასწავლებლებში;

— განავითაროს და აამაღლოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ეფექტიანობა უმაღლეს სკოლაში, აგრეთვე ექსპერიმენტულ-კონსტრუქტორული სამუშაოები — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის საწარმოები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

— გააუმჯობესოს სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა, მოსწავლეთა, ასპირანტთა, სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაკთა, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, შეუქმნას მათ შრომის უსაფრთხო პირობები.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო განაგებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელს შესაბამისი რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით, რომლებსაც თავიანთ გამგებლობაში აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემას.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო განაზოგადებს რესპუბლიკის უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის სრულყოფისათვის და განსახილველად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სახალხო მეურნეობის მოთხოვნების შესაბამისად სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების განვითარებისა და რაციონალურად განლაგების გეგმებს, წინადადებებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შექმნის, გარდაქმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;

ბ) სპეციალისტთა მომზადების დამტკიცებული გეგმის საფუძველზე და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დააწესებს სამინისტროს სისტემის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების გეგმებს;

გ) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს დასამტკიცებლად უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულ სპეციალობათა მიხედვით, დაამტკიცებს უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პროგრამებს სამინისტროსათვის განკუთვნილი სპეციალობებისა და დისციპლინების მიხედვით; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცებს იმ ახალ სპეციალობათა ნუსხას, რომელთა მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს სპეციალისტთა მომზადება სამინისტროს თვითეულ უმაღლეს სასწავლებელში;

დ) დაამტკიცებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წესდებებსა და სტრუქტურას; სამინისტროს სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს;

ე) განახორციელებს სასწავლო-მეთოდური და აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

ვ) შექმნის და გააუქმებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, სამინისტროს სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, უმაღლესი სასწავლებლების ფილიალებსა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებს;

ზ) მოაწყობს სახელმძღვანელოების, დამხმარე სასწავლო წიგნებისა და მეთოდური ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, შეიმუშავებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტთან ერთად სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების მშობლიურ ენაზე გამოცემის ყოველწლიურ და პერსპექტიულ გეგმებს და მათ ტირაჟებს; წარუდგენს ამ გეგმებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს;

თ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებების (კინო, რადიო, ტელევიზია და სხვა საშუალებანი) დანერგვას სასწავლო პროცესში, განახორციელებს ამ მუშაობისადმი სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას; მოაწყობს საქართველოს სსრ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტთან ერთად სასწავლო მეცადინეობის გადაცემას რადიოთი და ტელევიზიით უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის;

ი) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკული მომზადების მაღალ დონეს; მიამაგრებს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უმაღლეს სასწავლებლებს ამ სამინისტროებისა და უწყებებისადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გასავლელად საჭირო მუდმივ ბაზებად; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს იმის შესახებ, რომ მიამაგროს უმაღლეს სასწავლებლებს ბაზები, რათა სტუდენტებმა გაიარონ საწარმოო პრაქტიკა სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

კ) ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების დაყენებას რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში; შეიმუშავებს და განახორციელებს იმ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ, ღონისძიებებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საგნობრივი კომისიების სასწავლო, სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის; განაზოგადებს და გაავრცელებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობის გამოცდილებას;

ლ) დადგენილი წესით განახორციელებს ფიზიკური მომზადების და სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში; შეიმუშავებს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გამაჯანსაღებელ-სპორტული ბანაკების, პროფილაქტორიუმებისა და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მოწყობას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

მ) დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეებს და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიების თავმჯდომარეებს;

ნ) დაამტკიცებს იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილების კომისიების შემადგენლობას, რომლებიც სამინისტროს სისტემის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს ამთავრებენ;

ო) დადგენილი წესით გაანაწილებს ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს ამთავრებენ, და იმ პირებს, რომლებიც ამთავრებენ ამ უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურას, და მიიღებს ზომებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი რაციონალურად გამოყენებისათვის;

პ) დაამტკიცებს სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების შემადგენლობას; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს იმ საბჭოების შემადგენლობას, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება;

ჟ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითს და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო მუშაობას და განახორციელებს ღონისძიებებს სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვის გაუმჯობესებისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის; შეიმუშავებს სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების, ახალი მანქანებისა და მასალების ნიმუშების შექმნის, სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს; მოამზადებს წინადადებებსა და შენიშვნებს საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების საკოორდინაციო გეგმებისათვის;

რ) შეიმუშავებს საქვეუწყებო უმაღლეს სასწავლებლებში და წარმოებაში დანერგავს ახალი სახის მანქანებსა და მასალებს, რომლებიც შეესაბამებიან მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს და აკმაყოფილებენ სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს, აგრეთვე შეიმუშავებს და სახალხო მეურნეობაში დანერგავს დიდადეფექტიან ტექნოლოგიურ პროცესებსა და წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს;

ს) ფართოდ მოიზიდავს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას სახალხო მეურნეობისა და უმაღლესი განათლების საჭიროებისათვის სამეცნიერო გამოკვლევების ჩასატარებლად. შეიმუშავებს და განახორციელებს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გამოკვლევათა შედეგების გამოყენებას სახალხო მეურნეობაში;

ტ) განიხილავს უმაღლესი სასწავლებლების მიერ სამეცნიერო-საკვლევი და კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად სახსრების გამოყენების მდგომარე-

ობას, სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების შესახებ და დაამტკიცებს ამ ანგარიშებს;

უ) მოაწყობს რესპუბლიკაში სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების პრობლემებზე, აგრეთვე იმ სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების მიხედვით, რომლებიც შესრულებულია სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში; უზრუნველყოფს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას დადგენილი წესით და ხელმძღვანელობას გაუწევს საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას;

ფ) დადგენილი წესით მოიწვევს თათბირებსა და კონფერენციებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკითხებზე; ჩაატარებს უმაღლეს სასწავლებელთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, მოაწყობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოფენებს საქართველოს სს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების საკითხებზე;

ქ) სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით გახსნის და დახურავს საპრობლემო ლაბორატორიებს, ხოლო სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით — დარგობრივ სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიებს სამინისტროს სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში;

ღ) შეიმუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგენს სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების გეგმებს; განახორციელებს სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების ხელმძღვანელობას სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული ასპირანტურის მეშვეობით;

ყ) შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განსახილველად წარუდგენს სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გეგმებს; მოაწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

შ) აწარმოებს სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების აღრიცხვას;

ჩ) მიიღებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან და უშუალოდ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლებისაგან სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მასალებს, აგრეთვე უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საშუალო სპეციალური განათლების ხაზით დაწესებულ სტატისტიკურ ანგარიშგებას და განახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის სასწავლებლებში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისადმი;

ც) კონტროლს გაუწევს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობას სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე განახორციელებს კონტროლს საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების ქვესაუწყებო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობისადმი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დავალებით.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო:

ა) განახორციელებს კაპიტალურ მშენებლობას სამინისტროს სისტემაში, უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა წარმართვას პირველ რიგში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას საექსპლუატაციოდ გადასაცემ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სამინისტროს სისტემაში კაპიტალურ მშენებლობასთან და კაპიტალურ რემონტთან;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მომარაგებას მოწყობილობით, ნედლეულით, სათბობითა და სხვა მატერიალური რესურსებით;

გ) დადგენილი წესით დააფინანსებს სამინისტროს სისტემის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი სამეურნეო ანგარიშის საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, კონტროლს გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სამინისტროს სისტემაში;

დ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს სისტემაში შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება და გაჯანსაღება, უსაფრთხოების ტექნიკის წესების და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნების მტკიცედ დაცვა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

ე) დადგენილი წესით დაამტკიცებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა შტატებს;

ვ) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით საწარმოებს, სამშენებლო, საპროექტო და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებს;

ზ) დადგენილი წესით დააჯილდოებს სამინისტროს სისტემის და სხვა სამინისტროებისა და უწყებების უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაკებს საპატიო სიგელებით, აგრეთვე უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს საუკეთესო სამეცნიერო და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ნაშრომებისათვის.

9. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც ნიშნავს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდეგ შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის დარგებისადმი ხელმძღვანელობისა და სამინისტროს სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობისათვის.

11. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ბრძანებები და ინსტრუქციები რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებსაც ეს სასწავლებლები ემორჩილებიან.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტრო-

ებისა და უწყების ხელმძღვანელებთან ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

12. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში შეიქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით და ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების პროექტებს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების ანგარიშებს, აგრეთვე რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკთა მოხსენებებს, რომელთაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს კი, თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

ცენტრალური აპარატის სტრუქტურაში ცვლილებებს შეიტანს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

14. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების და მისი ცენტრალური აპარატის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. დადგენილ იქნას წესი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება განახორციელოს სახელმწიფო ექსპერტიზა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის საპროექტო დავალებებისა:

ა) სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და წყალთა მეურნეობის ნაგებობების ახალი მშენებლობის საპროექტო დავალებებისა, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს;

ბ) საბინაო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საპროექტო დავალებებისა, როდესაც სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდეა;

გ) საბინაო, სამოქალაქო, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტიპობრივი პროექტებისა;

დ) საბინაო, სამოქალაქო და კომუნალური დანიშნულების ინდივიდუალური პროექტებისა, რომლებიც სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახმშენის ნებართვით;

ე) რაიონული დაგეგმვის, ქალაქების, დაბებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტებისა.

3. იმ მიზნით, რომ განხორციელდეს ქმედითი კონტროლი ქალაქებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების განაშენიანებისადმი, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების ობიექტების განლაგებისადმი სამრეწველო რაიონების რაიონული დაგეგმვის პროექტების სრული შესაბამისობით, დაწესდეს, რომ სავალდებულოა საქართველოს სსრ სახმშენს შეუთანხმდეს სამრეწველო, სატრანსპორტო, ჰიდროტექნიკური, წყალთა მეურნეობის მშენებლობებისა და მრეწველობის სხვა დარგების ობიექტების საპროექტო დავალებანი იმ ნაწილში, რაც გენერალურ გეგმებსა და არქიტექტურულ გადაწყვეტას შეეხება.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 მაისის № 392 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 16 იანვარი. № 29.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 16 იანვრის № 29
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის (საქართველოს სსრ სახმშენის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს (სსრ კავშირის სახმშენს).

2. საქართველოს სსრ სახმშენის მთავარი ამოცანებია:

გაატაროს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა, მიმართული ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და იმ მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება;

გააუმჯობესოს ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურის საქმე, მოაწყოს ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების და სოფლის დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების, დეტალური დაგეგმვის პროექტების და განაშენიანების პროექტების დამუშავება, განხილვა და დამტკიცება;

განავითაროს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო რაიონების რაიონული დაგეგმვის საქმე, მოაწყოს რაიონული დაგეგმვის პროექტების, სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება, განახორციელოს კონტროლი ამ პროექტებისა და სქემების რეალიზაციისადმი; დადგენილი წესით შეათანხმოს რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განლაგების პროექტები, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში;

განავითაროს მეცნიერება და აამაღლოს სამეცნიერო გამოკვლევათა ეფექტიანობა, შეიმუშაოს სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები და მოახდინოს იმ სა-

მეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია, რომლებსაც ასრულებენ სამეცნიერო ორგანიზაციები და უმაღლესი სასწავლებლები მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში, კონტროლი გაუწიოს მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების დანერგვას დაპროექტებასა და მშენებლობაში;

შეიმუშაოს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, მშენებლობის საერთო-საკავშირო ნორმატიული დოკუმენტები და საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების სახელმწიფო სტანდარტები, მოაწყოს რესპუბლიკური ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება; კონტროლი გაუწიოს აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების დაცვას;

შემდგომ გააუმჯობესოს სამშენებლო დაპროექტება, განავითაროს ტიპობრივი დაპროექტება, ფართოდ დანერგოს მშენებლობაში საწარმოო, საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობებისა და ნაგებობების ტიპობრივი პროექტები და კონსტრუქციები, ბუნებრივ და კლიმატურ თავისებურებათა გათვალისწინებით; საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას საპროექტო-საძიებო ორგანიზაციებში;

დადგენილი წესით განახორციელოს საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების სახელმწიფო ექსპერტიზა;

შეიმუშაოს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით ძირითადი მიმართულებანი ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების, საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობის, საინჟინერო მოწყობილობის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ინდუსტრიალიზაციისათვის, საცხოვრებელი სახლების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციო და არქიტექტურული თვისებების გაუმჯობესებისათვის, განავითაროს სამშენებლო წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გააუმჯობესოს სამუშაოთა მოწყობა, სპეციალიზაცია და კოოპერირება მშენებლობასა და საშენ მასალათა მრეწველობაში, უფრო ეკონომიურად და რაციონალურად განავითაროს რესპუბლიკის მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური და ინდუსტრიული ბაზა;

შეიმუშაოს და განახორციელოს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად წინადადებანი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, მშენებლობის ღირებულებისა და მისი ხანგრძლივობის შემცირების, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესებისა და სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირების შესახებ;

განახორციელოს სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლი ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების განაშენიანებისადმი, საბინაო-სამოქალაქო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა სა-

ხის მშენებლობის ხარისხისადმი, იმ საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ხარისხისადმი, რომლებიც რესპუბლიკაში მზადდება.

3. საქართველოს სსრ სახმშენი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სახმშენის დადგენილებებით, ბრძანებებითა და ინსტრუქციებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის ქვესაუწყებო ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ სახმშენი განაზოგადებს პრაქტიკას რესპუბლიკური კანონმდებლობის გამოყენების მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, შეიმუშავებს წინადადებებს ამ კანონმდებლობის სრულყოფისათვის და განსახილველად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახმშენი:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, დადგენილი წესით დამტკიცებული საერთო-საკავშირო გეგმების საფუძველზე რესპუბლიკის გეგმებს, როგორიცაა: ტიპობრივი დაპროექტება, ექსპერიმენტული დაპროექტება და მშენებლობა, სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება და დაპროექტებასა და მშენებლობაში ახალი ტექნიკის დანერგვა; სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; მშენებლობისა და არქიტექტურის ახალი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და მოქმედი ასეთი დოკუმენტების გადასინჯვა, საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სამშენებლო ინსტრუმენტის ახალი სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება და არსებულის გადასინჯვა; კონტროლს გაუწევს აღნიშნული გეგმების შესრულებას;

ბ) შეიმუშავებს ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შედგენის სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული გადაღება-საძიებო სამუშაოების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო რაიონების რაიონული დაგეგმვის პროექტებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შედგენის სამუშაოთა გეგმებს და კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას;

გ) ტიპობრივი დაპროექტების და ექსპერიმენტული დაპროექტებისა და მშენებლობის დამტკიცებული წლიური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად, შეიმუშავებს და დაამტკიცებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ობიექტებისათვის შესაბამის თემატურ გეგმებს, აგრეთვე მოაწყობს საქალაქო და სასოფლო მშენებლობისათვის საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული პროექტების შემუშავებას და დასამტკიცებლად წარადგენს მათ დადგენილი წესით;

დ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს რესპუბლიკურ ნორმატივებს, ინსტრუქციებს, დაპროექტების, მშენებლობისა და არქიტექტურის ხაზით მითითებებს, ადგილობრივი საშენი მასალების ტექნიკურ პირობებსა და საფასარებს; შეიმუშავებს საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის ობიექტების საპრეისკურანტო ფასებს; მოაწყობს მუშაობას სამშენებლო სამუშაოთა ერთიანი რაიონული ერთეული ფასდების მოსარგებად ადგილობრივი პირობების მიხედვით;

ე) მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებაში შრომისა და მართვის სამეცნიერო ორგანიზაციის ხაზით; მოაწყობს შესაბამისი რეკომენდაციების, ინსტრუქციებისა და მითითებების შემუშავებას, მშენებლობაში შრომის ორგანიზაციისათვის სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების განზოგადებას და ამ საფუძველზე შრომითი პროცესების ორგანიზაციის ეფექტიანი მეთოდებისა და ფორმების შემუშავებას;

ვ) განახორციელებს რესპუბლიკაში ტიპობრივი დაპროექტების ხელმძღვანელობას, მოაწყობს ტიპობრივი პროექტებისა და ექსპერიმენტული მშენებლობის პროექტების, შენობათა და ნაგებობათა პროგრესული და უნიფიცირებული მოცულობითი-საგეგმო კონსტრუქციული გადაწყვეტის, ძირითადი ტიპობრივი სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების ნახაზების დანერგვას და განახორციელებს მათ გავრცელებას;

ზ) დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩაატარებს ღია და დახურულ რესპუბლიკურ კონკურსებს შენობათა და ნაგებობათა, საცხოვრებელი რაიონების პროექტების, ქალაქებისა და სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების, ეკონომიური ინდუსტრიული კონსტრუქციებისა და დეტალების, მშენებლობის პროგრესული მეთოდების პროექტების შესამუშავებლად, ეკონომიური პროექტების მიხედვით ობიექტების მშენებლობის საუკეთესო ხარისხისათვის;

თ) განახორციელებს მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზისადმი, რასაც რესპუბლიკის საექსპერტო ორგანოები ასრულებენ, აგრეთვე ამორჩევითი წესით შეამოწმებს რესპუბლიკაში ობიექტების მშენებლობის დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის ხარიხს;

ი) განახორციელებს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო რაიონების რაიონული დაგეგმვის პროექტების შემუშავების შემკვეთის ფუნქციებს;

კ) შეათანხმებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების გარეგანი კომუნიკაციების იმ მიწისზედა და მიწისქვეშა ტრასების პროექტებს, რომლებიც ქალაქების გარეთ პროექტდება;

ლ) მოაწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში, უზრუნველყოფს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებას და გამოცემას დადგენილი წესით, შეათანხმებს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების საქმიანობას მშენებლობის, არქიტექტურის, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა გამოყენების დარგში;

მ) მოაწყობს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომ შემუშავდეს და დაინერგოს მშენებლობაში, რომელიც რესპუბლიკაში ხორციელდება, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები, ინჟინერ-ტექნიკურ სამუშაოთა ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებანი, ელექტრონული მანქანებისა და გამოთვლითი ტექნიკის სხვა საშუალებათა ბაზაზე;

ნ) მონაწილეობას მიიღებს იმაში, რომ საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურმა და რესპუბლიკურმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ წინადადებანი, რომლებიც შეეხება მშენებლობასა და საშენი მასალების მრეწველობაში სპეციალიზაციის განვითარებას და კოოპერირებას, აგრეთვე რესპუბლიკაში სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისა და განლაგების სქემას;

ო) მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების იმ ნაწილის განხილვაში, რომელიც შეეხება კაპიტალურ მშენებლობას და საშენ მასალათა მრეწველობას, და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარუდგენს დასკვნებს გეგმების აღნიშნული პროექტების გამო;

პ) მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმების განხილვაში;

ჟ) გააანალიზებს რესპუბლიკაში მშენებლობის მოწყობასა და მდგომარეობას, რასაც მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

რ) მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას გაუწევს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა ადგილობრივი ორგანოების, ქალაქებისა და რაიონების მთავარი არქიტექტორების, რესპუბლიკური და ადგილობრივი საპროექტო ორგანიზაციების საქმიანობას, აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს სამშენებლო კონტროლის ორგანოების მუშაობას;

ს) ხელმძღვანელობას გაუწევს ქვესაუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მუშაობას;

ტ) აწარმოებს რესპუბლიკის სახმშენის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის, საქართველოს სსრ მთავრობის და სსრ კავშირის სახმშენის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას.

5. საქართველოს სსრ სახმშენს უფლება ენიჭება:

ა) გამოსცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში რესპუბლიკის სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის სავალდებულო წესები, ინსტრუქციები, ტექნიკური პირობები, მითითებანი და სხვა რესპუბლიკური ნორმატიული დოკუმენტები დაპროექტების, მშენებლობის, არქიტექტურისა და საშენ მასალათა წარმოების დარგში;

ბ) მონაწილეობა მიაღებინოს სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, რესპუბლიკის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მეცნიერ მუშაკებს, სპეციალისტებს, მშენებლობისა და წარმოების ნოვატორებს მშენებლობისა და არქიტექტურის ცალკეული საკითხების შემუშავებაში, აგრეთვე მოიზიდოს ისინი კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწარმოოს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებსა და მათ ქვესაუწყებო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც საშენ მასალებს, კონსტრუქციებსა და ნაკეთობებს ამზადებენ, სამშენებლო დაპროექტებისა და მშენებლობის, საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების, მშენებლობის ორგანიზაციისა და მდგომარეობის ტექნიკური დონის შემოწმება, აგრეთვე იმის შემოწმება, თუ როგორ სრულდება სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმები მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში, როგორ მიმდინარეობს მშენებლობისა და არქიტექტურის ხაზით ახალი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და არსებულის გადასინჯვა; საშენი მასალების, დეტალების, კონსტრუქციების, სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობისა და სამშენებლო ინსტრუმენტის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავება, ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტება და მშენებლობა, სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების შესწავლა და განზოგადება, ახალი ტექნიკის დანერგვა დაპროექტებასა და მშენებლობაში, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია; მოისმინოს ამ საკითხებზე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაცია, აგრეთვე მათთან შეთანხმებით — ცალკეული სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, აგრეთვე საწარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებანი და ინფორმაცია და შემოწმების შედეგების მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

დ) შექმნას საჭირო შემთხვევებში სამეცნიერო საბჭოები, საუწყებათაშორისო კომისიები და საექსპერტო ჯგუფები, აგრეთვე მოიწვიოს დადგენილი წესით კონფერენციები და თათბირები საქართველოს სსრ სახმშენის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ე) დაავალოს რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით, მათ ქვესაუწყებო ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია გეგმებისა და ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებასთან, აგრეთვე ღონისძიებათა შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაპროექტების, მშენებლობისა და არქიტექტურის, საშენ მასალათა წარმოების დარგში;

ვ) მიიღოს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებებისაგან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებისა და მათი ქვესაუწყებო ორგანიზაციებისაგან, დაწესებულებებისაგან, საწარმოებისაგან, აგრეთვე რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და მისი ორგანოებისაგან, მოქმედი ანგარიშგების ფარგლებში, საქართველოს სსრ სახმშენისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო მასალები.

6. საქართველოს სსრ სახმშენს სათავეში უდგას სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშ-

ნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით და კომიტეტის წევრები, საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებებისა და სახმშენის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

8. საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა იმ ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, რაც დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ სახმშენს, იგი დააწესებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილეების, განყოფილებათა უფროსების და სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სახმშენის ქვესაუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოების საქმიანობისათვის.

9. საქართველოს სსრ სახმშენი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სახმშენის დადგენილებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და იძლევა მითითებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა რესპუბლიკური ორგანოებისათვის, რესპუბლიკის საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე, საჭირო შემთხვევებში, საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს რესპუბლიკის მშენებლობასა და არქიტექტურაში ტექნიკური პოლიტიკის ძირითად საკითხებს, საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა პროექტებს, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად, ქალაქთა გენერალური გეგმების, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების, რაიონული დაგეგმვის პროექტებს, აგრეთვე სამრეწველო კვანძების გენერალური გეგმების სქემებს და სხვა საკითხებს, რომლებიც საქართველოს სსრ სახმშენის კომპეტენციაში შედის, განიხილავს კომიტეტის ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერ-

ჩევის, მათი განაწილებისა და აღზრდის საკითხებს, უმნიშვნელოვანესი დადგენილებების, ბრძანებების, ინსტრუქციებისა და ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს; მოისმენს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების სახმშენების, მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებების, საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, ქალაქებისა და რაიონების მთავარი არქიტექტორების მოხსენებებს, საქართველოს სსრ სახმშენის განყოფილებების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ანგარიშებს.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, რესპუბლიკის სახმშენის დადგენილებებით ან საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმშენს, ხოლო კომიტეტის წევრებს, თავიანთ მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავისი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სახმშენს.

11. რესპუბლიკაში დაპროექტების, მშენებლობის, არქიტექტურის, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარების ძირითადი საკითხების განსახილველად საქართველოს სსრ სახმშენში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიც შევლენ მეცნიერები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და ამ საბჭოს დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. დებულებას საქართველოს სსრ სახმშენის შესახებ, საქართველოს სსრ სახმშენის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით.

დებულებებს ავტონომიური რესპუბლიკების სახმშენების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების შესახებ დაამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით; დებულებებს საქართველოს სსრ სახმშენის განყოფილებათა შესახებ დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარე.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება რუსულ და ქართულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 16 იანვრის № 29
დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ სახმშენისა

ხელმძღვანელობა
საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის განყოფილება
ქალაქების დაგეგმვისა და განაშენიანების და არქიტექტურის განყოფილება
სასოფლო მშენებლობის, სოფლის დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების განყოფილება
სამშენებლო ინდუსტრიის, კონსტრუქციებისა და ახალი მასალების განყოფილება
მშენებლობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის განყოფილება
ტიპობრივი დაპროექტებისა და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ორგანიზაციის განყოფილება
სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების, ახალი ტექნიკისა და მშენებლობის მექანიზაციის განყოფილება
პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის განყოფილება
სახელმწიფო სამშენებლო ინსპექცია
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

7 საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდება, რომელიც მოწონებულია საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველი ყრილობის მიერ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ნოემბრის № 694 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 16 იანვარი, № 30.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 16 იანვრის № 30
დადგენილებით

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება არის მშრომელთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს საზოგადოების წევრთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახანძრო უსაფრთხოებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში, რისთვისაც იზიდავს მოსახლეობის ფართო მასებს ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის.

საზოგადოება თავისი წევრების აღზრდას აწარმოებს სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

2. საზოგადოების საქმიანობას საფუძვლად უდევს ეს წესდება და იგი ხორციელდება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეთვალყურეობითა და კონტროლით.

3. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) საზოგადოების ძალებითა და საშუალებებით ისეთ პროფილაქტიკურ და ორგანიზაციულ-მასობრივ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია ხანძრის თავიდან აცილება ან მისი წარმატებით ჩაქრობა;

ბ) საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სახანძრო უსაფრთხოების წესების დასაცავად;

გ) სახანძრო-ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა და გავრცელება როგორც საზოგადოების წევრთა შორის, ისე მოსახლეობაში.

4. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება თავისი ძირითადი ამოცანების შესასრულებლად:

ა) განუმარტავს მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში სახანძრო უსაფრთხობის ზომების დაცვის აუცილებლობას; საზოგადოების წევრთა შორის და მოსახლეობაში მოაწყობს ტექნიკური მინიმუმის სწავლებას და ჩაატარებს ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს; გამოიყენებს სახანძრო-ტექნიკური ცოდნის, ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი ჩაქრობის საშუალებათა პროპაგანდისა და გავრცელებისათვის პრესას, რადიოს, ტელევიზიას, კინოს, კლუბებსა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) მოაწყობს და ჩაატარებს საზოგადოების წევრებისა და მოსახლეობისათვის ხანძრის თავიდან აცილების და ჩაქრობის საშუალებათა და ხერხების სწავლებას; მოაწყობს და ჩაატარებს სასწავლო შეკრებებს, სახანძრო-ტექნიკურ მეცადინეობას, ხანძრის ჩაქრობის ვარჯიშს, სახანძრო ქვეგანაყოფებისა და სახანძრო ტექნიკის მუშაობის დემონსტრაციას, საზოგადოების წევრთა და ორგანიზაციათა შეჯიბრებებს სახანძრო-გამოყენებითი სპორტის სახეობებში;

გ) მონაწილეობას მიიღებს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დასახლებული პუნქტებისა და საცხოვრებელი სახლების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის საზოგადოებრივი დათვალიერების მოწყობაში; ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი სახახძრო რაზმების შექმნასა და მომზადებას საწარმოებსა და დასახლებულ პუნქტებში;

დ) მოაწყობს ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითს რაზმეულებს და ჩაატარებს მათთან მეცადინეობას ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის საკითხებზე;

ე) ხელს შეუწყობს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის გაშლას სახანძრო საქმეში და დახმარებას გაუწევს სახახძრო-ტექნიკური კომისიების მუშაობას სახალხო მეურნეობის ობიექტებზე.

II. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების უფლებები

5. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით.

6. საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას უფლება აქვს:

ა) დადოს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების ამოცანებსა და მიზნებს, გასცეს ვალდებულებანი და მინდობილობანი;

ბ) წარადგინოს სარჩელები და დაიცვას თავისი ინტერესები სასამართლო და საარბიტრაჟო ორგანოებში;

გ) მოაწყოს კურსები, შეკრებები, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითი რაზმეულების ბანაკები, სემინარები და წრეები, სახანძრო-ტექნიკური გამოფენები, კაბინეტები და სახანძრო პოლიგონები, რათა საზოგადოების წევრებმა და მოსახლეობამ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შეისწავლონ ხანძრის თავიდან აცილებისა და მისი ჩაქრობის საშუალებანი, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის ფორმები და მეთოდები; მოამზადოს და გადაამზადოს ხელმძღვანელ მუშაკთა კადრები: ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ფორმირებათა უფროსები, მეღუმელეები, ხის კონსტრუქციის ცეცხლგამძლე ხსნარით მღებავები, საზოგადოებრივი ინსპექტორები, ინსტრუქტორები და სხვა, რისთვისაც მოაწყობს რესპუბლიკურ სასწავლო პუნქტს;

დ) მოსახლეობაში მასობრივი ხანძარსაწინააღმდეგო სააგიტაციო მუშაობის ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოსთან ერთად, დადგენილი წესით გამოსცეს ქართულ და რუსულ ენაზე ბეჭდვითი ორგანო—მრავალტირაჟიანი გაზეთი. სასწავლო სახან-

ჭრო-ტექნიკური სახელმძღვანელოები, ბიულეტენები, ცნობარები და მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები, პლაკატები, ლოზუნგები, მოწოდებები, ფურცლები და სამახსოვროები;

მოაწყოს გამოფენები, ფოტოვიტრინები, აგრეთვე შეუკვეთოს შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებს კინოფილმები, მაგნიტოფილმები, დიაფილმები და გრამფირფიტები ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის, აგრეთვე საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე; ჰყავდეს სასწავლო და საagიტაციო მანქანები;

ე) შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, დადგენილი წესით შექმნას საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით, მოაწყოს სახანძრო რაზმები, საგუშაგოები და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებანი, შეინახოს საზოგადოების სახსრებით ამ ქვეგანაყოფების უფროსები, შოფრები და მოტორისტები.

ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმების უზრუნველყოფა საჭირო სამსახურებრივი სადგომებით ეკისრებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს;

ვ) ააშენოს და შეაკეთოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ხარჯზე სახანძრო დეპოები, ფარდულები, საწარმოო და დამხმარე სადგომები, რომლებიც საზოგადოებას ეკუთვნის;

ზ) დაინტერესებულ საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ჩაატაროს სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება მშრომელებისათვის, მოაწყოს ტექმინიმუმის სწავლება, ლექციები, მოხსენებები, საუბრები და კონსულტაციები, სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე;

თ) შეასრულოს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მეშვეობით შემდეგი სამუშაოები და მომსახურეობანი:

— ცეცხლსაქრობების, მათი სათადარიგო ნაწილების და მუხტების დამზადება;

— ცეცხლსაქრობების გამოცდა, შეკეთება, დამუხტვა და ხელახლა დამუხტვა;

— ყველა სახის სათბობი და სახურებელი ღუმელების, კერებისა და საკვამლეების შემოწმება, შეკეთება, გადაწყობა და გაწმენდა, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო ძგიდეების მოწყობა;

— შენობათა და ნაგებობათა ხის კონსტრუქციების, იწვებადი ნაკეთობების, ქსოვილებისა და თეატრალური დეკორაციების ცეცხლისაგან დაცვა, აგრეთვე სახანძრო სახელოების ლპობის საწინააღმდეგო გაჟღენთვა;

— მეხამრიდების მოწყობა და მათი წესივრობისათვის თვალყურის დევნება;

— სახანძრო ტექნიკის, მოწყობილობისა და აღჭურვილობის რემონტი, სახანძრო სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მონტაჟი და რემონტი. მათი ტექნიკური მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება;

— საზოგადოების საჭიროებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტისა და სათადარიგო ნაწილების წარმოება;

— ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების (კასრები, ვედროები, ნიჩბები, ძალაყინები, ბაგერები, ცულები, ფარები, საქვიშარები და ა. შ.) დამზადება;

— სხვადასხვა სახის ნაპერწკალსაქრობების დამზადება;

— შეაკეთოს საცხოვრებელ სახლებში ელექტროგაყვანილობა;

— შინაგანი ელექტროგაყვანილობის იზოლაციის წინააღმდეგობის შემოწმება, ელექტროდანადგარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესაბამისად;

აწარმოოს თავის საწარმოებში დამზადებული ხანძარსაქრობი პირველადი საშუალებების რეალიზაცია საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

ი) დაამტკიცოს საზოგადოების საწარმოებისა და სასწავლო ორგანიზაციების დებულებანი.

7. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებებით საკუთარი სახსრებისა და ქონების ფარგლებში, გარდა იმ ქონებისა, რომლის მიმართ კანონის თანახმად არ შეიძლება მიმართულ იქნას გადახდევინება.

8. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ გახსნან და დახურონ ანგარიშები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში.

9. საქართველოს ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებას აქვს თავისი ალამი, ემბლემა, საწევრო სამკერდე ნიშანი, აგრეთვე სამკერდე ნიშნები „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარჩინებული“ და „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საპატიო წევრი“.

ალმისა და ემბლემის ნიმუშებსა და აღწერილობებს, აგრეთვე დებულებებს სამკერდე ნიშნების — „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარჩინებულის“ და „ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საპატიო წევრის“ შესახებ დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 მაისის № 343 დადგენილების თანახმად, ამ პუნქტით გათვალისწინებულ სამკერდე ნიშნების ნიმუშებს და ყოველწლიურ ტირაჟებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებს, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო საბჭოს, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და

ორგანიზაციებს აქვთ ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნულია მათი სახელწოდებ. და გამოსახულია საზოგადოების ემბლემა.

საზოგადოების ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ბეჭდების და კუთხის შტამპების ნიმუშებს შეიმუშავებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პრეზიდიუმი და მათი დამტკიცება იწარმოებს დადგენილი წესით.

III. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

11. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრებად შეიძლება იყვნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც 18 წელი შეუსრულდა.

შენიშვნა: მოზარდები 18 წლამდე გაერთიანდებიან ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობით რაზმეულებში, ეს რაზმეულები მოქმედებენ საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად. რაზმეულის წევრები საწევრო შენატანებსა და ბილეთის ღირებულებას არ იხდიან.

12. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრად მიღებას აწარმოებს პირველადი ორგანიზაციის საბჭო, წერილობითი ან სიტყვიერი განცხადების თანახმად.

13. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს გადამწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხის განხილვაში საზოგადოების წევრთა კრებებზე, აირჩიოს და არჩეულ იქნას საზოგადოების ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სახანძრო ფორმირებათა და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში, რომლებსაც საზოგადოება შექმნის;

გ) მონაწილეობა მიიღოს შეჯიბრებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც საზოგადოება მოაწყობს და გაატარებს;

დ) ატაროს საზოგადოების საწევრო სამკერდე ნიშანი;

ე) ინვალიდობის შემთხვევაში, რაც მოხდა ხანძრის ჩაქრობასთან დაკავშირებით ან ამ წესდების თანახმად სხვა მოვალეობათა შესრულების დროს, საზოგადოების წევრებს, გარდა კანონით გათვალისწინებული საზღაურისა დასახიჩრებისათვის, უფლება აქვთ აგრეთვე მიიღონ საზოგადოებისაგან ერთდროული დახმარება. საზოგადოების წევრის დაღუპვის შემთხვევაში ერთდროული დახმარება მიეცემა მის ოჯახს. დახმარების ოდენობას დააწესებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ცალკეულ შემთხვევაში, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, მატერიალური დახმარება სამკურნალოდ შეიძლება გაეწიოს საზოგადოების წევრს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხანძრის ჩაქრობასა და პროფილაქტიკურ მუშაობაში.

14. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) მიიღოს აქტიური მონაწილეობა პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში, შეასრულოს ყოველგვარი დავალება და დროზე გადაიხადოს საწევრო გადასახადი;

ბ) შეისწავლოს სახანძრო საქმე, დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების წესები წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში, მიიღოს მასზე დამოკიდებული ყოველგვარი ზომები ამ წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად;

გ) განმარტოს და პროპაგანდა გაუწიოს მოსახლეობაში საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს. ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მოზიდვას საზოგადოების წევრებად;

დ) შეასრულოს საზოგადოების წესდებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნები.

15. ხანძრის ჩაქრობის, ადამიანთა და ქონების გადარჩენის დროს გამბედაობისა და საზრიანობისათვის, საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სახანძრო ფორმირებათა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის, აქტიური პროფილაქტიკური მუშაობისა და საზოგადოების გაფართოება-განმტკიცების ხაზით მუშაობისათვის როგორც შტატის მუშაკები, ისე აქტივისტები წახალისებული იქნებიან მოქმედ დებულებათა საფუძველზე.

განსაკუთრებით თვალსაჩინო დამსახურებისათვის საზოგადოების წევრები შეიძლება წარდგენილ იქნან კანონით დადგენილი წესით ჯილდოებზე.

16. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წევრების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ აღმზრდელობითი და საზოგადოებრივი ზეგავლენის შემდეგი ზომები: გაკიცხვა, შენიშვნა, საყვედური და, როგორც უკიდურესი ზომა, საზოგადოების წევრობიდან გარიცხვა.

საკითხი საზოგადოების იმ წევრთა შესახებ, რომლებსაც არ გადაუხდიათ საპატიო მიზეზის უქონლად საწევრო გადასახადი ერთი წლის განმავლობაში, განხილულ უნდა იქნას პირველადი ორგანიზაციის საბჭოს სხდომაზე.

პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილება საზოგადოების წევრობიდან გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საბჭოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

IV. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა

17. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციები შეიქმნება ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, რაიონებში, დაბებში, სოფლის დასახლებულ პუნქტებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, საბინაო და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებში, სახლმმართველობებში, სახლთა ჯგუფებსა და ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში და მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე.

შენიშვნა: საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს შექმნას სარაიონთაშორისო საბჭო — საქალაქო და სარაიონო საბჭოს უფლებებით, თუ ასეთის შექმნა გამოწვეულია საზოგადოების ძირითადი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

18. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების და სარევიზიო კომისიების, ოლქის, ქალაქების, რაიონების და საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების, აგრეთვე საზოგადოების ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატების არჩევნები წარმოებს ღია კენჭისყრით.

საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმეტესობით.

19. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების წევრები თავიანთ საქმიანობაში უნდა ამართლებდნენ იმ მაღალ ნდობას, რაც მათდამი გამოიჩინეს საზოგადოების წევრებმა. იმ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს, საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოს წევრი ვერ ამართლებს ამ ნდობას, იგი შეიძლება გამოყვანილ იქნას საბჭოს შემადგენლობიდან საზოგადოების მოცემული საბჭოს გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას ხმა მისცა საზოგადოების მოცემული საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორმა მესამედმა.

იმის საკითხი, რომ საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების წევრები გამოყვანილ იქნან ამ კომისიების შემადგენლობიდან, — გადაწყდება კომისიების სხდომებზე იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საზოგადოების საბჭოების წევრებისათვის.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური ორგანოები

20. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც მოიწვევს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც. საზოგადოების რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების საბჭოს ინიციატივით ან საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების სულ მცირე ერთი მესამედის მოთხოვნით.

ყრილობის მოწვევის თარიღს და დღის წესრიგს გამოაცხადებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი, ყრილობამდე არა უგვიანეს თვენახევრისა. ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს და დელეგატთა არჩევნების წესს დაადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.

21. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული ყრილობის დელეგატებად, მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

22. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ყრილობა:

ა) მოისმენს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშს და მიიღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

გ) დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წესდებას;

დ) აირჩევს საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

23. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩევიან იმ შემადგენლობით, რასაც ყრილობა განსაზღვრავს, ოთხი წლის ვადით.

24. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობას ყრილობათა შორის პერიოდში განახორციელებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო, რომლის სხდომები მოიწვევა ნახევარ წელიწადში ერთხელ მაინც.

რესპუბლიკური საბჭოს სხდომების გასაძღოლად მათ წევრთაგან აირჩევა თავმჯდომარე და მდივანი.

25. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭო:

ა) აირჩევს საზოგადოების საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პრეზიდიუმის მდივანი და წევრები იმ რაოდენობით, რასაც საზოგადოების საბჭო განსაზღვრავს;

ბ) მოიწვევს საზოგადოების ყრილობას და მოამზადებს მისთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებს და სხვა მასალებს;

გ) მოისმენს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საბჭოების ანგარიშებს;

დ) განიხილავს და დაამტკიცებს პრეზიდიუმის სტრუქტურას და შტატს და თავის გადაწყვეტილებას ამ საკითხზე წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად;

ე) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებსაც გამოიტანს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

26. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქმიანობის ხელმძღვანელობას ცენტრალური საბჭოს სხდომებს შორის განახორციელებს საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი.

27. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) შექმნის საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებს, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზა-

ციებს, განახორციელებს ხელმძღვანელობას საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისადმი, შეათანხმებს და წარმართავს მათ საქმიანობას საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, მისცემს მითითებებსა და განმარტებებს საზოგადოების ადგილობრივ ორგანოებს მათი საქმიანობის ორგანიზაციისა და შინაარსის, აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე, განაზოგადებს და გაავრცელებს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას;

ბ) ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო საქმიანობას;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო, რაიონული და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოების საწარმოო-საფინანსო გეგმებს და შეჯამებულ ბალანსებს, ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს და კონტროლს გაუწევს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას;

დ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების, აგრეთვე მათი საწარმოების საბუღალტრო ანგარიშებს, შეადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშებს;

ე) მოაწყობს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადებას და გადამზადებას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საზოგადოების ძირეული რგოლის მუშაკთა, სპეციალისტთა და საზოგადოებრივი აქტივის მომზადებისათვის;

ვ) დააწესებს და დაამტკიცებს საზოგადოების საწევრო ბილეთების მარკების, აგრეთვე თასების, პრიზების, დიპლომების, სიგელების, გარდამავალი დროშების, ალმების და სხვა წახალისებითი განსხვავების ნიმუშებს;

ზ) გამოვა საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წარმომადგენლად ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და განახორციელებს საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის, უფლებებს.

28. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

29. ხელშეკრულებებს, ვალდებულებებსა და მინდობილობებს ხელს მოაწერს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. ფულად და მატერიალურ ფასეულობათა დოკუმენტებს ხელს მოაწერენ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) და მთავარი ბუღალტერი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციები

30. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოების უმაღლესი ორგანოა შესაბამისი საზოგადოების რესპუბლიკური და საოლქო კონფერენცია.

საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაცია მუშაობს ავტონომიური საოლქო ორგანიზაციის უფლებებით და მისი უმაღლესი ორგანოა საქალაქო კონფერენცია.

31. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ორგანიზაციები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მუშაობენ საზოგადოების შესაბამისი რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების ხელმძღვანელობით.

32. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების კონფერენციები მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების სულ მცირე ერთი მესამედის მოთხოვნით, ან საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების შესაბამისი საბჭოს, ან ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს დააწესებს საზოგადოების შესაბამისი საბჭო.

33. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციების კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი.

34. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭოების წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული კონფერენციის დელეგატებად, მის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სათათბირო ხმის უფლებით.

35. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს საზოგადოების შესაბამისი საბჭოს და სარევიზიო კომისიის ხარჯთაღრიცხვებს;

ბ) დასახავს საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციების მორიგ ამოცანებს;

გ) აირჩევს საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ) და ავტონომიურ საოლქო საბჭოს და სარევიზიო კომისიას;

დ) აირჩევს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ყრილობის დელეგატებს.

36. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭო და სარევიზიო კომისიები აირჩევა წევრთა იმ რაოდენობით, რასაც კონფერენცია დააწესებს, ორი წლის ვადით.

37. კონფერენციებს შორის პერიოდში საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს საზოგადოების შესაბამისი საბჭო. საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

38. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭო:

ა) აირჩევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭოს შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს;

ბ) მოიწვევს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო ორგანიზაციების კონფერენციებს, მოამზადებს მათთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებს და სხვა მასალებს;

გ) მოისმენს საზოგადოების შესაბამისი საბჭოების ანგარიშებს;

დ) განიხილავს სხვა საკითხებს, რომლებსაც საზოგადოების ძირეული საბჭოები გამოიტანენ.

39. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო ორგანიზაციის საქმიანობის ხელმძღვანელობას საზოგადოების შესაბამისი საბჭოს სხდომებს შორის განახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

40. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო საბჭო:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციის საორგანიზაციო-მასობრივ, საწარმოო და საფინანსო საქმიანობას, წარმართავს მას ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ბ) დაგეგმავს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო ორგანიზაციის მთელ საქმიანობას;

გ) მოაწყობს საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების შემოწმებას და ინსტრუქტაჟს მათი საქმიანობის ყველა საკითხზე;

დ) მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს საზოგადოების საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრებას;

ე) განაზოგადებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული, პირველადი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას, გაავრცელებს მოწინავე გამოცდილებას; მოაწყობს საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაკთა და აქტივისტთა მომზადებას და გადამზადებას, აგრეთვე მოსახლეობისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებას; მიაწვდის შესაბამის საბჭოთა ორგანიზაციებს და საზოგადოებას ინფორმაციას თავისი მუშაობის შესახებ;

ვ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოების და მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების წარმოების, საფინანსო გეგმებსა და ხარჯთაღრიცხვებს და შეამოწმებს მათს შესრულებას;

ზ) განიხილავს და დაამტკიცებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოების და დაქვემდებარებული ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშებს; შეადგენს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭოს შეჯამებულ საბუღალტრო ანგარიშს.

41. ხელშეკრულებებს, ვალდებულებებსა და მინდობილობებს ხელს მოაწერს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ან მოადგილე. ფულად და მატერიალურ ფასეულობათა დოკუმენტებს ხელს მოაწერენ შესაბამისი საბჭოს თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე) და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები

42. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საზოგადოების საქალაქო, რაიონული კონფერენცია.

43. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის კონფერენციას მოიწვევს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო ორ წელიწადში ერთხელ მაინც, რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა საზოგადოების საქალაქო, რაიონული ან ზემდგომი საბჭოს გადაწყვეტილებით, აგრეთვე საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით.

საზოგადოების საქალაქო, რაიონული კონფერენციის მოწვევა და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს დააწესებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო.

კონფერენცია უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეული დელეგატების სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.

44. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არ არიან არჩეული კონფერენციის დელეგატებად, მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

45. საქალაქო, რაიონული კონფერენცია მოისმენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს და მიიღებს მათ გამო გადაწყვეტილებებს, აირჩევს საქალაქო, რაიონულ საბჭოს, სარევიზიო კომისიას და საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და ავტონომიური საოლქო კონფერენციის დელეგატებს.

46. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო და სარევიზიო კომისია აირჩევა ორი წლის ვადით, იმ რაოდენობით, რასაც კონფერენცია დააწესებს.

47. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო, რაიონული საბჭო:

ა) უხელმძღვანელებს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების მთელ საქმიანობას ქალაქში, რაიონში; ინსტრუქტაჟსა და კონტროლს გაუწევს მათ; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის გასაფართოებლად, რისთვისაც შექმნის ახალ პირველადს ორგანიზაციებს, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითს რაზმეულებს, მოიზიდავს ახალ წევრებს საზოგადოების რიგებში; მოაწყობს საზოგადოებრივ კონტროლს სახალხო მეურნეობაში სახანძრო უსაფრთხოებისადმი. შეასწავლის მოსახლეობას ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის წესებსა და ხერხებს; განახორციელებს სხვა ღონისძიებებს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ბ) განიხილავს ორგანიზაციულ-მასობრივი და საწარმოო საქმიანობის შედეგებს, გაავრცელებს მუშაობის მოწინავე გამოცდილებას; მოაწყობს საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების შეჯიბრებას და ხელმძღვანელობას გაუწევს მას;

გ) შესაბამის საბჭოთა ორგანოებს მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოების საქალაქო, რაიონულ ორგანიზაციებში საქმის მდგომარეობის შესახებ.

48. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. საზოგადოების საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის ხელმძღვანელობას საბჭოს სხდომებს შორის ახორციელებს საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები

49. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საფუძველს წარმოადგენენ პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ღონისძიებებს ხანძრის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლისათვის.

პირველადი ორგანიზაცია შედგება იმ წევრებისაგან, რომლებიც მუშაობენ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სწავლობენ ერთ სასწავლებელში ან ცხოვრობენ ერთ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, ერთი სახლმმართველობის ან საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის სახლებში.

50. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას საფუძვლად უდებენ საზოგადოების წევრთა ინიციატივასა და თვითმოქმედებას საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში; დახმარებას უწევენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებათა, სასწავლებლების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ადმინისტრაციას ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში.

51. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები:

ა) განუმარტავენ მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს და იმას, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური ქონებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების დაცვა ხანძრისაგან;

ბ) მოაწყობენ და ჩაატარებენ საზოგადოების წევრებს შორის და მოსახლეობაში ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს ხანძარსაწინააღმდეგო თემებზე;

გ) შექმნიან და მოაწყობენ სახანძრო-ტექნიკურ კაბინეტებს, ოთახებსა და კუთხეებს, სახანძრო საქმის შემსწავლელ წრეებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს მუშაობას;

დ) მოაწყობენ და ჩაატარებენ სახანძრო-ტექნიკურ მეცადინეობას, ექსკურსიებს სახანძრო-ტექნიკურ გამოფენებზე, სახანძრო ნაწილებსა და სახანძრო-ტექნიკურ სასწავლებლებში, შეჯიბრებებს სახანძრო-გამოყენებითი სპორტის და მისი სხვა სახეობათა საბრძოლო გაშლისათვის;

ე) განახორციელებენ საზოგადოებრივ კონტროლს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი, სახანძრო დეპოებისა და ფარდულების, წყალმომარაგების წყაროებისა და მათთან მისასვლელი გზების, სახანძრო ტექნიკის, ინვენტარის, მოწყობილობისა და ხანძარსაქრობ პირველად საშუალებათა წესიერ მდგომარეობაში შენახვისადმი;

ვ) მოისმენენ საზოგადოების წევრთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ისინი ნებაყოფლობითს სახანძრო რაზმებში, საბრძოლო სახანძრო გუნდებში და, როგორც სახანძრო დაცვის რწმუნებულნი, საცხოვრებელ სახლებში;

ზ) საჭირო შემთხვევებში მიაწვდიან ინფორმაციას საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებს სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის დაშვებული ფაქტების შესახებ, შეიტანენ წინადადებებს ამ საკითხებზე;

თ) მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებებისა და საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზაციის და ჩატარების საქმეში, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახანძრო უსაფრთხოება საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულებებში, სახლმმართველობებში, საცხოვრებელ სახლებში და ა. შ.; ხელს შეუწყობენ სახანძრო-ტექნიკური კომისიების მოწყობასა და მუშაობას საწარმოებში;

ი) დახმარებას გაუწევენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ადმინისტრაციას იმ მხრივ, რომ შეასწავლონ მუშებს, მოსამსახურეებსა და მოსახლეობას სახანძრო-ტექნიკური მინიმუმი, რომ მოეწყოს ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმები და სახანძრო საგუშაგოები, აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ხანძრის ჩაქრობაში.

52. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ არის საზოგადოების სულ ცოტა 10 წევრი.

53. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება (კონფერენცია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება (კონფერენცია) უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საზოგადოების წევრთა (დელეგატთა) ნახევარზე მეტი. პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების (კონფერენციების) მოწვევის ვადები განისაზღვრება ამ ორგანიზაციების მუშაობის გეგმებით.

54. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, სადაც მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის აირჩევა: იქ, სადაც 15 წევრზე მეტია — საბჭო და იქ, სადაც 15 წევრზე ნაკლებია — თავმჯდომარე და მოადგილე. ამავე კრებებზე აირჩევა ორგანიზაციის სარევიზიო კომისია და ხაზინადარი — ინსტრუქციას არჩევნების წესის შესახებ დაამტკიცებს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

55. მსხვილ პირველადს ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები (უჯრედები) საწარმოს საამქროებსა და ცვლებში, კოლმეურნეობის ბრიგადებში, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულების განყოფილებებში, სასწავლებლის ფაკულტეტებზე, საბინაო და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების უბნებში, სახლების ჯგუფებსა და ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში. ძირეული ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობის წესს დაადგენს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიები

56. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიები შეამოწმებენ საფინანსო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულებას, სახსრების ხარჯვისა და მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების სისწორეს, აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას, განახორციელებენ კონტროლს მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროულად განხილვისადმი.

სარევიზიო კომისიები მუშაობენ საზოგადოების ზემდგომი სარევიზიო კომისიების ხელმძღვანელობით და თავიანთი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებენ საზოგადოების წევრთა კონფერენციებსა და საერთო კრებებს შესაბამის საბჭოებთან ერთად.

სარევიზიო კომისიები თავიანთი შემადგენლობიდან აირჩევენ თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს.

სარევიზიო კომისიას შეუძლია მონაწილეობა მიიღებინოს თავის მუშაობაში ექსპერტებად აქტივს საზოგადოების წევრთა, ბუღალტერთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვიდან.

შენიშვნა: სარევიზიო კომისიაში არ შეიძლება არჩეულ იქნან საზოგადოების საბჭოს წევრები ან მოცემული ორგანიზაციის შტატის მუშაკები.

57. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სარევიზიო კომისიების წევრები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების შესაბამისი საბჭოს და პრეზიდიუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.

V. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოების სექციები

58. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოებთან შეიძლება შეიქმნას საორგანიზაციო, სასწავლო მუშაობის, ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებათა მუშაობის, სახანძრო-გამოყენებითი სპორტის, ნორჩ მეხანძრეთა ნებაყოფლობითი რაზმეულების, სახანძრო პროფილაქტიკის, ხანძარსაწინააღმდეგო პროპაგანდის, საწარმოო საქმიანობისა და სხვა სექციები.

საზოგადოების სექციების მუშაობის წესს განსაზღვრავს დებულება სექციების შესახებ, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

VI. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების სახსრები

59. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ფულადი სახსრები შედგება:

ა) საზოგადოების წევრთა შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან, შესასვლელი შენატანები 5 კაპიკის ოდენობით გადახდილი იქნება საზოგადოების წევრად შესვლის დროს. საწევრო გადასახადს საზოგადოების წევრები იხდიან წელიწადში 10 კაპიკის ოდენობით;

ბ) საზოგადოების საწარმოო, სასწავლო და იმ სხვა საქმიანობის შემოსავლიდან, რაც გათვალისწინებულია ამ წესდებით.

60. საზოგადოების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან, ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების შეტანის შემდეგ, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ქმნის შემდეგ ფონდებს:

— საწესდებო ფონდს;
— მასობრივ-სააგიტაციო მუშაობის ფონდს;
— კაპიტალური მშენებლობის, წარმოების გაფართოების, ახალი ტექნიკისა და მოწყობილობათა შეძენის ფონდს;
— საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფონდს;
— პრემიალურ-წამახალისებელ და ერთდროული დახმარების ფონდს.

ამ ფონდების ოდენობა განისაზღვრება საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით, ამასთან ადმინისტრაციულ-სამმართველო და საწარმოო პერსონალის პრემიებისა და ერთდროული დახმარების ფონდების ოდენობა განისაზღვრება სახალხო მეურნეობის დარგებში მოქმედი წესების შესაბამისად.

61. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალური აპარატის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა საბჭოების აპარატის შენახვა, აგრეთვე ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განხორციელება წარმოებს საზოგადოების რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკების) საოლქო, საქალაქო, რაიონული და საფაბო ორგანიზაციების იმ საბალანსო მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე, რაც მიღებულია მათი საწარმოო საქმიანობისაგან. ამ ანარიცხების ოდენობას, წესსა და ვადებს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

62. ნებაყოფლობით სახანძრო საზოგადოებათა საბჭოების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შენახვა ხდება საზოგადოების სახსრების ხარჯზე და ეს პერსონალი რეგისტრირებულ უნდა იქნას საფინანსო ორგანოებში.

VII. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

63. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელიც უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), ავტონომიური საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების შესაბამისი კონფერენციის გადაწყვეტილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

64. საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და სახსრების გადაცემა მოხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებით.

საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), ავტონომიური ოლქის ორგანიზაციების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და სახსრების გადაცემა მოხდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მითითებათა თანახმად, ხოლო საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და სახსრების გადაცემა მოხდება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მითითებების თანახმად — საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისათვის დავის საქვეუწყებობის შეცვლის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1037 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟისათვის დავის საქვეუწყებობის შეცვლის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ 1969 წლის 1 თებერვლიდან დავა, რომელიც წამოიჭრება ერთ მილიონ მანეთზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 2 მილიონი მანეთის ხელშეკრულებათა დადებისას, და დავა, რომელიც წამოიჭრება ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა 10 ათას მანეთზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 25 ათას მანეთს, — უნდა გადაწყვიტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა.

ამასთან დაკავშირებით, მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ნოემბრის № 793 დადგენილებით, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დავას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მონაწილეობით, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც თანხა არ აღემატება 2 მილიონ მანეთს, აგრეთვე ისეთ ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 25 ათას მანეთს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 17 იანვარი, № 32.

9 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„101. სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 31 იანვარი, № 52.

10 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის **სამინისტროს შესახებ.**

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 მარტის № 166 დადგენილება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 31 იანვარი, № 53.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 31 იანვრის № 53
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სსრ კავშირის კონსტიტუციის და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, სამედიცინო მეცნიერების განვითარების დონისა და იმ სამედიცინო დახმარების ხარისხისათვის, რაც მოსახლეობას ეწევა დაავადებათა თავიდან აცილებისა და მათი ეფექტიანი მკურნალობის და ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი გადიდების მიზნით.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ყოველმხრივ განვითარება, რათა რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ქვეყნის მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი;

საერთო ხელმისაწვდომი, უფასო, მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაუწიოს მოსახლეობას;

განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფილაქტიკური მიმართულების განვითარებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში;

დაიცვას დედები და ბავშვები;

უზრუნველყოს რესპუბლიკის სანიტარიულ-პროფილაქტიკური კეთილდღეობა;

უზრუნველყოს საქართველოს სსრ მოსახლეობა, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დაწესებულებები წამლეული საშუალებებით, ბაქტერიული და ვირუსული პრეპარატებით და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმით;

შეასრულოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის განვითარების დავალებანი და სახელმწიფო გეგმის სხვა დავალებანი, უზრუნველყოს სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა;

განავითაროს სამეცნიერო გამოკვლევები რესპუბლიკის მედიცინის დარგში, აამაღლოს მათი ეფექტიანობა, აგრეთვე დანერგოს სამედიცინო პრაქტიკაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები;

მოამზადოს მედიცინისა და ფარმაცევტული მუშაკები, გააღრმაოს მუშაკთა ამ კატეგორიების ცოდნა და მათი პრაქტიკული ჩვევები სპეციალობის მიხედვით;

დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს სამინისტროს სისტემის დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები კვალიფიციური კადრებით, შექმნას პირობები მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, დააწინაუროს ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

რაციონალურად გამოიყენოს კაპიტალური დაბანდებანი და აამაღლოს მათი ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ღირებულება და მისი ვადები, დროზე გადასცეს საექსპლუატაციოდ მშენებარე ობიექტები;

გააუმჯობესოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკების საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, უზრუნველყოს მათთვის შრომის უსაშიშრო პირობები.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს ჯანმრთელობის დაცვას, როგორც წესი, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების და რაიონების მთავარი ექიმების მეშვეობით, აგრეთვე ვანაგებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ჯანმრთელობის დაცვის მმართველობის ორგანოები, მათი ქვესაუწყებო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების და სისხლის გადასხმის სადგურები და სხვა დაწესებულებები), სანიტარიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებები, აფთიაქები, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლები და სხვა ქვესაუწყებო დაწესებულებები, ორგანიზაციები და საწარმოები წარმოადგენენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთიან სისტემას.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო წარმოადგენს რა წამყვანს ჯანმრთელობის დაცვის დარგში, განახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის იმ სამკურნალო-პროფილაქტიკური, სამეცნიერო-საკვლევი და სხვა დაწესებულებების საქმიანობის (მეთოდური ხელმძღვანელობის ჩათვლით) კოორდინაციას, რომლებიც არ შედიან მის სისტემაში, დაავადებათა გამოცნობის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის, საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან რესპუბლიკის ტერიტორიის და-

ცვის საკითხებსა და მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების საკითხებზე, აგრეთვე კონტროლს გაუწევს ამ საქმიანობას.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად, განახორციელებს ფუნქციებს დაგეგმვის, მეცნიერების, ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტების, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) შეისწავლის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, განსაზღვრავს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითად მიმართულებებს, შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, რაიონულ და საქალაქო აღმასკომებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაავადებათა თავიდან აცილებას, ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილიანობის შემცირებას, ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომ გადიდებას;

ბ) მოაწყობს მოსახლეობისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური და წამლეული დახმარების გაწევას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების განვითარება, სრულყოფა და მოსახლეობასთან მიახლოება;

გ) შეიმუშავებს დედათა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებებს, მოაწყობს სამართლებრივ დახმარებას დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალთა და მოზარდთა შრომის დაცვას, ბავშვთა გაჯანსაღებას, ფიზიკურ და ჰიგიენურ აღზრდას, კონტროლს გაუწევს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობას ბავშვთა სკოლამდელ და სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, დააწესებს სავალდებულო მოთხოვნებს ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოებისა, რეალიზაციისა და მოხმარებისადმი;

დ) შეისწავლის მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ავადობას შრომის უნარის დაკარგვით და შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და

ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს მისი შემცირებისათვის; დააწესებს საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად იმ პირთა საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ჩატარებისა და მათთვის საავადმყოფო ფურცლების მიცემის წესსა და პირობებს, რომლებმაც დროებით და ხანგრძლივად დაკარგეს შრომის უნარი;

ე) შეისწავლის რესპუბლიკის საკურორტო რესურსებს, მონაწილეობას მიიღებს კურორტთა განვითარების ღონისძიებათა შემუშავებაში, შეიმუშავებს საკურორტო ფაქტორების რაციონალურად გამოყენების უფრო ეფექტიან მეთოდებს, სამეცნიერო-მეთოდურ და საკონსულტაციო დახმარებას გაუწევს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებს;

ვ) ხელმძღვანელობას გაუწევს სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დაყენებას;

ზ) სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობასა და მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს დადგენილი წესით სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური დარგების მუშაობას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; მოაწყობს სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდას მოსახლეობაში;

თ) მოაწყობს და განახორციელებს კონტროლს სამინისტროს სისტემაში გეგმიანი მუშაობის მდგომარეობისადმი, შეიმუშავებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული კადრების მომზადების, სპეციალიზაციისა და სრულყოფის გეგმებს, შრომისა და ხელფასის გეგმებს მთლიანად სისტემისა და ცალკეული ოლქებისა და ქალაქებისათვის, აგრეთვე კონტროლს გაუწევს გეგმის შესრულების მიმდინარეობას;

ი) უზრუნველყოფს მოწინავე გამოცდილებისა და სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში; მოახდენს მედიცინის ხაზით სხვა სამინისტროებისა და უწყებების დაწესებულებებში მეცნიერული გამოკვლევების ჩატარების კოორდინაციას, აგრეთვე განახორციელებს პროტეზირებისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების კოორდინაციას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად;

კ) შეიმუშავებს სამედიცინო მეცნიერების მონაცემების საფუძველზე რეკომენდაციებს შრომის ჰიგიენისა და ფიზიოლოგიის საკითხებზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების დანერგვისას;

ლ) დადგენილი წესით განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს წამლეული საშუალებებისა და სამედიცინო ტექნიკის ხარისხისადმი;

მ) გამოავლენს რესპუბლიკის მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების მქონე სპეციალისტებზე, მოაწყობს ამ სპეციალისტთა მომზადებას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის სასწავლებლებში, აგრეთვე სამეცნიერო პედაგოგიური და მეცნიერთა კადრების მომზადებას მედიცინის დარგში; ხელმძღვანელობას გაუწევს ექიმების, ფარმაცევტებისა და სხვა მედიცინის მუშაკების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას;

ნ) გამოავლენს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებას სამედიცინო დანიშნულების ნაწარმზე (წამლეული საშუალებანი, ბაქტერიული და ვირუსული პრეპარატები, ვიტამინები, სასათვალო ოპტიკა და სხვა სააფთიაქო საქონელი, აგრეთვე სამედიცინო ტექნიკის ნაკეთობანი და მათი სათადარიგო ნაწილები) და სანიტარულ ავტომობილებზე; უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და მოსახლეობის მომარაგებას სამედიცინო დანიშნულების ნაწარმით და მოაწყობს სამედიცინო ტექნიკის სწორ ექსპლუატაციასა და რემონტს;

ო) სამკერდე ნიშნით და საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად წარადგენს დადგენილი წესით მოწინავე მედიცინისა და ფარმაცევტულ მუშაკებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში, და გამოიყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

პ) განახორციელებს საერთაშორისო კავშირურთიერთობის ამოცანებს საზღვარგარეთ მუშაობისათვის, თანამშრომლობისა და კადრების მომზადების გეგმების შესაბამისად, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობისათვის;

ჟ) მოაწყობს სამინისტროს სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, პირველადს აღრიცხვასა და ანგარიშგებას, განიხილავს და დაამტკიცებს ანგარიშებსა და ბალანსებს, კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას და მათ უტყუარობას, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა, სახელმწიფო ქონების დაცვა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება;

რ) ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას რესპუბლიკაში, დახმარებას აღმოუჩენს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში, დანერგავს წარმოებასა და სამკურნალო პრაქტიკაში მიღებულ აღმოჩენებს, გამოგონებებსა და რაციონალიზატორულ წინადადებებს, მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს ორგანიზაციებსა და საწარმოებს საპატენტო-სალიცენზიო მუშაობის დარგში.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის მუშაობას ეწევა სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, პროფესიული კავშირების, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების, სამედიცინო დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური ხელშეწყობით.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროს ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს მთავარი სამმართველოების უფროსებისა და სხვა ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მუშაობისათვის.

11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების, სამინისტროს სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებები და ინსტრუქციები დაავადების გამოცნობის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის, საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან საქართველოს სსრ ტერიტორიის დაცვის, მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების საკითხებზე, აგრეთვე სხვა საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს კომპეტენციაში შედის, — სავალდებულოა ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებისათვის, სამინისტროებისა, უწყებებისა, საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი საჭირო შემთხვევაში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

12. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინს-

ტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის, საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეების, რაიონების მთავარი ექიმების, სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მოხსენებებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავიანთ მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. იმისათვის, რომ განხორციელდეს სამეცნიერო გამოკვლევების დაგეგმვა და ორგანიზაცია კლინიკური, ეპიდემიოლოგიური და ჰიგიენური ხასიათის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-პრაქტიკულ სამედიცინო პრობლემებზე და კონტროლი გაეწიოს ამ გამოკვლევების შედეგებს, აგრეთვე იმისათვის, რომ განისაზღვროს სამედიცინო მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებანი და შემუშავდეს რეკომენდაციები სამამულო და უცხოეთის სამედიცინო მეცნიერების, ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების მეცნიერული მიღწევების დანერგვისა ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში, — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-სამედიცინო საბჭო, რომელშიაც შევლენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს და სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

15. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებისა „საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციების დაფინანსების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 მაისის № 347 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახელმწიფო საბინაო ფონდის ექსპლოატაციის გაუმჯობესებისა და მისი დაცვა-შენახვის ზომების შესახებ“.

2. შეუნარჩუნდეთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც სავაჭრო ქსელი აქვთ, იმის უფლება, რომ აწარმოონ საჭირო შემთხვევებში იჯარით აღებული სავაჭრო სასაწყობო სადგომების რემონტი იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია ამ სადგომების ქირის ასანაზღაურებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 ოქტომბრის № 1301 დადგენილების შესაბამისად.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებით:

ა) შენარჩუნებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 თებერვლის № 240 განკარგულებით დადგენილი წესი საიჯარო ქირის გამოყენებისა არასაცხოვრებელი სადგომებისათვის სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებათა სახლებში;

ბ) გაუქმებულია პუნქტი 16 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 642 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების დამატებით გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 ივლისის № 896 განკარგულებასთან ერთად.

4. დამტკიცდეს ცვლილებანი, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 31 იანვარი, № 56.

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 31 იანვრის № 56
დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებასთან დაკავშირებით

„საქართველოს სსრ მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 ივლისის № 410 დადგენილების № 2 დანართის 21-ე პუნქტი და № 3 დანართის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დართონ გადაანაწილონ საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს შორის იმ სახსრების თავისუფალი ნაშთი, რომელიც შეიქმნება საბინაო ფონდის ექსპლოატაციის მთელი ხარჯების დაფარვის შემდეგ (გარდა კაპიტალური რემონტის ხარჯებისა) და წარმართონ დადგენილი წესით სახსრები სტიმულირების ფონდების შესაქმნელად“.

2. „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლოატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილების 23-ე პუნქტის მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლები აქვთ, ყოველწლიურად ხარჯონ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების 10 პროცენტამდე საბინაო მეურნეობის სარემონტო, სატრანსპორტო და მომმარაგებელი კანტორების, საშენი მასალებისა და საბინაო ფონდის შესაკეთებლად საჭირო დეტალების დამამზადებელი საწარმოების მოსაწყობად და ძირითადი (გარდა საცხოვრებელი სახლების და საერთო საცხოვრებლების მშენებლობის) და საბრუნავი ფონდების შესავსებად, აგრეთვე სახლმმართველობათა სახელოსნოებისა და სასაწყობო სადგომების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის და მათთვის სარემონტო მოწყობილობის, ინვენტარისა და ინსტრუმენტის შესაძენად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბინაო მეურნეობაში აღნიშნული სახსრები შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე მათი ქვესაუწყებო სარემონტო კანტორებისა და სარემონტო-სამშენებლო ტრესტების ძირითადი და საბრუნავი ფონდების შესავსებად“.

12 იმ საყოფაცხოვრებო მომსახურების სანიმუშო ნუსხის დამტკიცების შესახებ, რაც მოსახლეობას უნდა გაეწიოს საქართველოს სსრ სასოფლო რაიონებში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაფართოების მიზნით, დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი სანიმუშო ნუსხა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, რაც მოსახლეობას უნდა გაეწიოს სასოფლო ადგილებში, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 5 თებერვალი, № 60.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 5 თებერვლის № 60
დადგენილების დანართი

სანიმუშო ნუსხა

საყოფაცხოვრებო მომსახურებისა, რაც მოსახლეობას უნდა გაეწიოს სასოფლო რაიონებში

1. კაცის, ქალისა და ბავშვის ზედა ტანსაცმლის, ქალისა და ბავშვის მსუბუქი კაბების, სპორტული და სპეციალური სამუშაო ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი, საბნების დალიანდაგება.
2. თავსამკაულების — ქუდების, კეპების და სხვ. დამზადება.
3. ზედა ტრიკოტაჟის, აგრეთვე წინდის ნაწარმის დამზადება და რემონტი.
4. ტყავისა და რეზინის ფეხსაცმლის რემონტი, ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა.
5. ტანსაცმლის, ბამბის, შალისა და ბამბეულის საბნების, ლაბადების, ნატურალური და სინთეზური ტყავისაგან შეკერილი ტანსაცმლის ქიმიური წმენდა, ლაქების ამოყვანა.
6. ტანსაცმლის, ქსოვილების, ნართის შეღებვა.
7. საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების — მაცივრების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, საკერავი მანქანების, ველოსიპედების,

ელექტროსამართებლების, საათების, რადიომიმღებების, ტელევიზორების, რადიოლების, რეპროდუქტორების, პატეფონების, მაგნიტოფონებისა და სხვ. რემონტი.

8. ლითონის ნაკეთობებისა და სამეურნეო დანიშნულების საგნების — კლიტეების, ნავთქურების, კეროგაზების, ხორცსაკეპების, საწოლების, ლითონის ჭურჭლის რემონტი, თუნუქის სამუშაოები.

9. ლითონის ნაკეთობების — რკინის მოაჯირების, კარების, ტალავრების, რკინის ღუმელების, ღუმელის მილების, ლითონის ბადურების, ურმის თვლების, მაშების, შამფურების, ჯაჭვების, თოხების, ნიჩბების, ფოცხების და სხვ. რემონტი და დამზადება, დანებისა და მაკრატლების გალესვა, სპილენძის ჭურჭლის ჭოკალვა.

10. მუსიკალური ინსტრუმენტების რემონტი.

11. რბილი და მაგარი ავეჯის, **შტორების, ფარდების,** კარნიზებისა და საკიდების რემონტი და დამზადება.

12. საკასრე ჭურჭლის დამზადება **და რემონტი,** სადურგლო და სახუროე სამუშაოები.

13. ბინების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და რემონტი, კედლების შეთეთრება, შეღებვა, მობათქაშება, შპალერის გაკვრა, ფანჯრის ჩარჩოებისა და ალათების, კარების, იატაკების, ჭერების, სახურავების რემონტი ან გამოცვლა, მინის ჩასმა, ღუმელების, თონეების, საკვამლე მილების გადაწყობა და აწყობა; ფარდულების, ჭების, სამზარეულოების, გარაჟების, სარდაფების, კიბის მოზაიკური საფეხურების აშენება და რემონტი, ეზოების კეთილმოწყობა და მისასვლელი გზების მოასფალტება, ელექტროგაყვანილობის რემონტი და მოწყობა, შემკვეთის საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან და შეკეთებასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები.

14. შეშის დახერხვა, დაპობა და დაწყობა ოჯახში, სათბობისა და სხვა ტვირთის შინ მიტანა, ვენახებისა და მწვანე ნარგავების შესხურება და მოვლა.

15. მერქნის დახერხვა მოსახლეობის შეკვეთებით.

16. დაკრძალვის მომსახურება, მათ შორის მუსიკალური მომსახურება მაგნიტოფონებით.

17. ფოტოგრაფიული სამუშაოები.

18. საპარიკმახერო მომსახურება—გაკრეჭვა, გაპარსვა, თმის შეღებვა, ვარცხნილობა და დახუჭუჭება, მანიკიური.

19. კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საგნების, ელექტროსაყოფაცხოვრებო საქონლის, რადიოაპარატურის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ჭურჭელ-სამეურნეო საგნების, სპორტული ინვენტარის, საოჯახო საგნების და სხვ. გაქირავება.

20. აბანოებისა და საშხაპოების მომსახურება.

21. სამრეცხაოების მომსახურება — თეთრეულის რეცხვა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

13 საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებში, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ივნისის № 376 დადგენილებით, შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი, შემუშავებული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და შეთანხმებული სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან:

ა) რჩევა მიეცეთ რენტაბელურ კოლმეურნეობებს, უკეთუ მეურნეობაში მოიპოვება შესაძლებლობანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის გარანტირებული საზღაურის მიცემას კოლმეურნეებისათვის ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოს მიხედვით ბანკის სესხთა გამოუყენებლად და საზოგადოებრივი ფონდების შევსებას საჭირო რაოდენობით კოლმეურნეობათა წმინდა შემოსავლიდან,—გამოიყენონ გადიდებული სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგო, რომლებიც დაწესებულია 1968 წლის 1 იანვრიდან საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე სასოფლო მეურნეობების, სატყეო მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 20 ნოემბრის № 511/II — 28 დადგენილებით, დანართის თანახმად;

ბ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეთა შრომის გარანტირებულ ანაზღაურებას და საზოგადოებრივი ფონდების შევსებას ბანკის გრძელვადიანი კრედიტის გამოუყენებლად, დააწესონ კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ბრიგადირის, ფერმათა გამგეების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ეკონომისტებისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის თანამდებობრივი განაკვეთების დანამატები მოცემულ მეურნეობაში მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის შემდეგი რაოდენობით: ვისაც უმუშავნია 5-დან 10 წლამდე — 8 პროცენტი, 10-დან 15 წლამდე — 10 პროცენტი და 15 წელზე მეტი — 15 პროცენტი.

ამასთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების რეკომენდაციებიდან 59-ე პუნქტის უკანასკნელი აბზაცი კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და წარჩინებული სპეციალისტებისათვის პერსონალური განაკვეთების დანიშვნის შესახებ;

გ) დაწესდეს, რომ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით შეიძლება დამტკიცდეს თანამდებობრივი განაკვეთის დანამატი ყველა კოლმეურნეობის საწარმოო და სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებისათვის, მეცხოველეობის ფერმების გამგეებისათვის, რომლებსაც უმაღლესი სპეციალური სასოფლო-საშეურნეო განათლება აქვთ (აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ინჟინერ-

მექანიკოსი და სხვ.) 10-დან 15 პროცენტამდე, ხოლო იმათთვის, ვისაც საშუალო სპეციალური განათლება აქვს — 5-დან 10 პროცენტამდე;

დ) პუნქტი 44 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით ყველა კოლმეურნის კოლექტიური მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით, წმინდა შემოსავლის (მოგების) სახსრების ნაწილი კოლმეურნეობის ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა. საზოგადოებრივი ფონდების შევსების შემდეგ, გამოყენებული იქნება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით იმ ცალკეული ბრიგადების, ფერმებისა და კოლმეურნეთა პრემიალური წახალისებისათვის, რომლებმაც საუკეთესო საწარმოო შედეგებს მიაღწიეს;

ე) 59-ე პუნქტის მეორე აბზაცს სიტყვების შემდეგ: „გადაანგარიშება წარმოებს მიმდინარე წლის შედეგების საფუძველზე“ დაემატოს სიტყვები: „უკანასკნელი სამი წლის საშუალო მაჩვენებლებით, მიმდინარე წლის პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების ჩათვლით“,

ვ) 61 პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საწარმოო ბრიგადების ბრიგადირებისა და მეცხოველეობის ფერმების გამგეების შრომის ანაზღაურება დაწესდება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში წარმოებული საერთო პროდუქციის საშუალო მოცულობის კვალობაზე, შემდეგი რაოდენობით ბრიგადებისა და ფერმების ჯგუფების მიხედვით:

ჯგუფი	საერთო პროდუქციის წარმოება წლის განმავლობაში სახელმწიფო შესასყიდ ფასებში (ათას მანეთობით)	თვიური განაკვეთი (მანეთი)	შრომადღეების მიხედვით
I	500-ზე მეტი	180	105
II	400-ზე მეტი 500-მდე	160	93
III	200-ზე მეტი 400-მდე	140	81
IV	100-ზე მეტი 200-მდე	120	70
V	50-ზე მეტი 100-მდე	100	58
VI	25-ზე მეტი 50-მდე	85	50
VII	25-მდე	75	43

გადაანგარიშება ხდება უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საერთო პროდუქციის წარმოების საშუალო მოცულობის საფუძველზე, მიმდინარე წლის საერთო პროდუქციის ჩათვლით“;

ზ) 61 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით ბრიგადირებს, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული ფიზიკური მუშაობისაგან (როდესაც

ბრიგადის საერთო პროდუქციის მოცულობა 10 ათას მანეთამდეა), ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის დაუწესდებათ ყოველთვიური დანამატი მათი გამომუშავების 25 პროცენტამდე ბრიგადაში მუშაობის მოცულობისა და კოლმეურნეთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო მერგოლურს რგოლის ხელმძღვანელობისათვის ყოველთვიურად დაერიცხება მისი რგოლის წევრთა გამომუშავების 2—3 პროცენტი; უფროს ტრაქტორისტებს, უფროს მწველავებს, უფროს მეღორეებს და ა. შ. მიეცემათ დანამატი მათი საშუალო გამომუშავების 15 პროცენტამდე;"

თ) 64 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ-სამმართველო და მომსახურე პერსონალის თვითეული მუშაკის ყველა სახეობის წახალისების საერთო თანხა, რასაც იღებს კოლმეურნეობისა და სახელმწიფოსაგან (შრომის დამატებითი საზღაური, პრემიები, მათ შორის წილი წმინდა შემოსავლიდან და სხვ.) არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში მისი თანამდებობრივი განაკვეთის მიხედვით წლიური გამომუშავების 50 პროცენტს, მოცემულ კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟისათვის დანამატის ჩათვლით".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 20 თებერვალი, № 84.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 20 თებერვლის № 84
დადგენილების დანართი

სატარიფო განაკვეთები,

რომლებიც დაუწესდათ საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე სასოფლო მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს 1968 წლის 1 იანვრიდან

	დღიური განაკვეთები თანრიგების მიხედვით (მან. და კაპ.)					
	I	II	III	IV	V	VI
მუშები						
ცხენისა და ხელის სამუშაოები და მეცხოველეობაში მუშაობა დროის მიხედვით						
მომუშავეებისათვის	2—34.4	2—34.4	2—40,2	2--46,1	2-53.9	2—81,3
მენარდეებისათვის	2—34.4	2—40,2	2—46,1	2—53,9	2—73,3	3—09,6
ტრაქტორისტი-მემანქანეები:						
დროის მიხედვით მომუშავეებისათვის						
1 ჯგუფი	2-63,7	2—73,4	2—90	3—20	3—80	4 50
2 ჯგუფი	2—73.4	3-00	3—50	3—90	4—50	5-40
3 ჯგუფი	2—80	3—30	3—80	4-20	4—90	5—90
მენარდეებისათვის						
1 ჯგუფი	2—73,4	2—80	3-20	3-60	4-20	5—00
2 ჯგუფი	2—90	3—40	3-80	4—30	5—00	6—00
3 ჯგუფი	3—10	3-60	4—20	4—70	5—50	6-50

	საათობრივი განაკვეთები თანრიგების მიხედვით (კაპიკობ.)					
	I	II	III	IV	V	VI
სარემონტო-მექანიკური სამუშაოები ცხელ სამუშაოებზე:						
დროის მიხედვით მომუშავეებისათვის .	35.8	37,2	39.3	45,1	52,5	61,0
მენარდეებისათვის	35,7	39,5	45.1	51,8	60,2	70,0
შრომის ნორმალურ პირობებიან სამუშაოებზე:						
დროის მიხედვით მომუშავეებისათვის	34.4	35 8	37,2	38,9	45.2	52.6
მენარდეებისათვის	35 8	37.2	39.3	45,1	52,5	61.0

	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სპეციალისტები	
საბჭოთა მეურნეობები და დამხმარე სასოფლო მეურნეობები	
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები	70
ძეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები, სახელმწიფო სანაშენო სადგურები, სახელმწიფო ჯიშთსაბჭნები და ცხოველთა ხელოვნური გახაყოფიერების სადგურები	
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები	70
ბიოლოგიური მრეწველობის საწარმოები, საგრენაჟო სადგურები, მეაბრეშუმეობის საჯიშე სადგურები, საგრენაჟო პუნქტები, პარკსაშრობები	
ტექნიკოსი (ლაბორანტი)	70
გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული გაერთიანებანი, განყოფილებები, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები, საბჭოთა მეურნეობების ტრესტები	
ყველა სპეციალობის ტექნიკოსი	70
მანქანათსაცდელი სადგურები, სამიწათმომწყობო სამსახური, მეთესლეობის ინსპექციები და სადგურები, სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისა და დაავადებისაგან მცენარეთა დაცვის ორგანიზაციები და ვეტერინარული ქსელი	
ტექნიკოსი (ლაბორანტი-მხაზველი), ვეტერინარი ფერშალი . .	70
სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების სამმართველოები, სამანქანო-საექსკავატორო, სამანქანო-სამელიორაციო, სამდელოე-სამელიორაციო და მეცხოველეობის სამანქანო სადგურები	
ტექნიკოსი	70
წყლის შემომვლელი	60,62 5
სატყეო მეურნეობები და სსრ კავშირის სატყეო სახელმწიფო დაცვა	
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, მეტყევე, ტყის ოსტატი . .	70
ტყის დარაჯი	65
სამონადირეო-სასარეწო მეურნეობის სამმართველოები და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციები	
მონადირეობის ტექნიკოსი	65—70
ეგერი	62,5—67,5

	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
სახელმწიფო ნაკრძალები, სახელმწიფო სატყეო-სამონადირეო მეურნეობები	
უფროსი ნადირთმომშენებელი	70
ნადირთმომშენებელი	65—70
უფროსი ლაბორანტი	70
უფროსი ეგერი	62,5—70
ეგერი	62,5—67,5
ლაბორანტი	62,5 65, 67,5
პრეპარატორი	62,5 65,
ტაქსოდერმისტი	70
ექსკურსიის ხელმძღვანელი	65
მოსამსახურეები	
სოფლის მეურნეობის საწარმოები და ორგანიზაციები, სამონადირეო-სასარეწო მეურნეობის საამართველო და სახელმწიფო სამონადირეო ინსპექციები, სატყეო მეურნეობები	
ბუღალტერი, საქოხელმცოდნე, თაოჯიმანი, არქივის გამგე, მეურნეობის გამგე, საწყობის გამგე, უფროსი მოლარე, უფროსი ინკასატორი, ინსპექტორი, პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე, მშიფრავი	
მენიხრე	62,5—75
სამანქანო ბიუროს გამგე (უფროსი მემანქანე)	62,5—70
აგენტი, აგენტი-ექსპედიტორი, სტეკლოგრაფიის გამგე, მოლარე, იხკასატორი, ქრონომეტრაჟისტი, უფროსი მოანგარიშე, უფროსი სტატისტიკოსი, მდივანი-სტენოგრაფისტი, საშვებთა ბიუროს გამგე, კალკულატორი, ანგარიშმსწორებელი, ტარიფიკატორი, სერტიფიკატორი	62,5—67,5
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	62,5—67,5
უფროსი მეტაბელე, აღმრიცხველი, მოანგარიშე, სტატისტიკოსი, საქმისმწარმოებელი, არქივარიუსი, კომპტომეტრისტი, მხაზველი, ფოტოგრაფი, პასპორტისტი, მეკუჭნავე, საშვებთა ბიუროს მორიგე, ოპერატორი	62,5 ,65
მეგანრიგე, მეროტატორე, მეტაბელე, შუქგადამღები, სტეკლოგრაფისტი, ექსპედიტორი, გადამღები	60, 62,5
უმცროსი მოსამსახურე პერსონალი	
მეეზოვე, ეზოს დამლაგებელი, მეეტლე, საყოფაცხოვრებო სათბობი ღუმელების მეცეცხლური, მეგარდერობე, მეაბანოე, მეკუბე, მეჯინიბე, აბანოების, საშხაპოების, სანკვანძების, კანტორებისა და სხვა სამსახურებრივი სადგომების დამლაგებლები, სამგზავრო ლიფტების ლიფტიორი, შვეიცარი, ვახტიორი, დარაჯი, შიკრიკი, მესატურატორე	60

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

14 სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო იმ დაწესებულებათა ზეგეგმითი დაგროვების გამოყენების შესახებ, რაც მიღებულია სახელშეკრულებო სამუშაოთა შესრულებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ივლისის № 517 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოახდინოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დეზინფექციის განყოფილების სპეციალურ ანგარიშზე იმ ზეგეგმითი დაგროვების ცენტრალიზაცია, რაც მიღებულია 1968 წლის 5 ივლისიდან სახელშეკრულებო სადეზინფექციო სამუშაოების, სანიტარიულ-ჰიგიენური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისათვის, რათა შემდგომ გადანაწილდეს და დაიხარჯოს იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ხოლო შემდეგში ჩაატაროს აგრეთვე ცენტრალიზაცია ყოველწლიურად.

2. სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა ზეგეგმითი დაგროვება დაიხარჯოს სანიტარიულ-ეპიდემიის საწინააღმდეგო დაწესებულებათა მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე მათთვის ინვენტარის, მოწყობილობისა და აპარატურის შესაძენად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 20 თებერვალი, № 86.

15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 დეკემბრის № 984 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 ნოემბრის № 805 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 დეკემბრის № 984 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების სრულიად საკავშირო ბანკის (სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის) წესდების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 1 ოქტომბრის № 822 დადგენილებასთან და „მშენებლობის დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 746 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე", — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 ნოემბრის № 805 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის გეგმის შესახებ".

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 დეკემბრის № 984 დადგენილებით გაუქმებულია:

1) პუნქტი 19 (განაყოფი 11) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებისა „საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 19 სექტემბრის № 1154 განკარგულებასთან ერთად;

2) პუნქტი 44 ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოებასთან და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილებით და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 653 დადგენილებასთან ერთად;

3) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 790 დადგენილება „იმის შესახებ, რომ გავრცელდეს პურის მიმღები საწარმოების ხელმძღვანელებზე მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილებისა „საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოების თაობაზე" იმ უფლების გავრცელების ნაწილში, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს № 1430 დადგენილების II განაყოფის მე-19 პუნქტით, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 1132 განკარგულებასთან ერთად;

4) მე-5 პუნქტის ქვეპუნქტი „ა" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 ივლისის № 427 დადგენილებისა „სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის გადასაწყვეტად ზოგიერთი საკითხის გადაცემის შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ივნისის № 844 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 21 თებერვალი, № 88.

16 ქ. თბილისის ქუჩებისა და მოედნების დაგვისათვის სატარიფო განაკვეთის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 3 ივნისის № 292 დადგენილების — „ქალაქების და ქალაქის ტიპის დასახლებათა ქუჩების და მოედნების სანიტარიული დასუფთავების საკითხები“—ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს 1969 წლის 1 იანვრიდან ქ. თბილისის ქუჩების და მოედნების დაგვისათვის სატარიფო განაკვეთი 42 კაპიკის ოდენობით თვეში დასაგველი ფართობის 10 კვ. მეტრზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 24 თებერვალი, № 89.

17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ოქტომბრის № 550 დადგენილების დამატებით, დაწესდეს ლიტერატურული მინიატურებისათვის საავტორო ჰონორარის განაკვეთები 20, 40, 60, 80 და 100 მანეთის რაოდენობით აკორდულად თვითეული ნაწარმოებისათვის, მისი მხატვრული ღირებულების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 24 თებერვალი, № 91.

18 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 28 თებერვალი, № 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 28 თებერვლის № 101
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვ-ხილბოსტნის“ შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს და იმავდროულად ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს.

სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ ხელმძღვანელობას გაუწევს ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის სისტემას, საკონსერვო, შაქრის მრეწველობას, ხილკენკრის წვნისა და ღვინის გამომუშავების მრეწველობას, ხილისა და ბოსტნეულის საბითუმო და საცალო ვაჭრობას, ხილისა და ბოსტნეულის მიწოდებას საერთო-საკავშირო ფონდში;

სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს“ ეკისრება პასუხისმგებლობა ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, სამრეწველო გადამუშავების და რეალიზაციის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის.

2. სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ მთავარი ამოცანაა:

— თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული და გარეული ხილისა და კენკრის, კაკლისა და თხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის, ბაღჩეული კულტურების დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მათი შესყიდვა მოსახლეობაში, აგრეთვე შაქრის ჭარხლისა საქართველოს სსრ ყველა რაიონში;

— ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო გადამუშავება (კონსერვების, ფხვნილი შაქრის, ხილკენკრის ღვინისა და წვნის წარმოება, დაწნილება, დამჟავება და სხვ.);

— ახალი ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ხილბოსტნეულის პროდუქციის მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში და საბითუმო ვაჭრობა დაწესებული ფონდების მიხედვით;

— კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა რესპუბლიკაში საერესპუბლიკათაშორისო მიწოდების ფონდებით დეცენტრალიზებული შესყიდვისა და გადაცვლის ოპერაციების წესით;

— ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და კონსერვის საცალო ვაჭრობა სპეციალიზებული (საფირმე) მაღაზიების მეშვეობით, აგრეთვე წვრილსაბითუმო ვაჭრობა და სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომარაგება ამ პროდუქტებით რესპუბლიკის ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში და კურორტებზე;

— საქონლის გაყიდვის პროგრესული ფორმების და მყიდველთა მომსახურების დამატებით სახეობათა ფართოდ დანერგვა (წინასწარი შეკვეთების მიღება, საქონლის შინ მიტანა და ა. შ.);

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

— სისტემის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება;

— მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

— ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების დანერგვა, წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების და მისი ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების უკეთ გამოყენებისათვის პირობების შექმნა, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მუშაობაში;

— მშენებლობაში შინაგანი რესურსების მობილიზაციის ღონისძიებათა შემუშავება და მათი შესრულებისადმი კონტროლის განხორციელება;

— სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წარმოებაში შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულების, საკუთარი საბრუნავი სახსრების შენარჩუნების, მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან ანგარიშის დროულად გასწორების, აგრეთვე იმის უზრუნველყოფა, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გადარიცხონ საკუთარი სახსრები, რაც განკუთვნილია კაპიტალური მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

— სოციალისტური სახელმწიფო საკუთრების დაცვა და მისდამი დამზოგველური დამოკიდებულება სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

3. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ განახორციელებს ხელმძღვანელობას თავისი დარგებისადმი ქვესაუწყებო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მეშვეობით.

4. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“, წარმოადგენს რა რესპუბლიკაში წამყვან ორგანოს ხილბოსტნეულის პროდუქციის წარმოების მხრივ, მონაწილეობას მიიღებს იმ საწარმოების მიერ წარმოების განვითარებისა და ამ პროდუქციის გამოშვების დაგეგმვაში, რომლებიც მის სისტემაში არ შედიან, შეიმუშავებს აღნიშნული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

5. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროების ბრძანებებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ განაზოგადებს თავის დარგში კანონმდებლობის შეფარდების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და განსახილველად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“:

ა) შეიმუშავებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, იმ საწარმოებისათვის ნედლეულის ბაზის შექმნისა და განვითარების ღონისძიებებს, რომლებიც ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებას ეწევიან, და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს ამ ღონისძიებათა განხორციელებას;

ბ) მონაწილეობას მიიღებს დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდაში და ხეხილის ნარგავების, ბოსტნეული და იმ სხვა კულტურების დარაიონებასთან და ტექნოლოგიურ შეფასებასთან, აგრეთვე ამ კულტურების ნათესების განლაგებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, რომლებსაც იყენებენ ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმოები;

გ) მონაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შემუშავებაში;

დ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობის საკითხებზე;

ე) მონაწილეობას მიიღებს ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი (ჩასაბარებელი) და საცალო ფასების პროექტების შემუშავებაში, რომლებსაც ყიდულობს და ჰყიდის სახელმწიფო კომიტეტის სისტემა და მისცემს დასკვნებს ამ პროდუქტების სტანდარტებისა და რაიონული ტექნიკური პირობების პროექტების გამო;

ვ) შეიმუშავებს და შესაბამის ორგანოებს წარუდგენს დადგენილი წესით დასამტკიცებლად ნედლეულისა და სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის განაწილების ბალანსებსა და გეგმებს; უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების შესაბამისად იმ ნედლეულისა და პროდუქციის მიწოდებას, რომლებიც შეტანილია განაწილების ბალანსებსა და გეგმებში;

ზ) მოაწყობს სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების შედგენას;

თ) შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების და გეგმების იმ პროექტების საფუძველზე, რომლებსაც სისტემის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები წარადგენენ, მთლიანად სისტემის პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ი) მოაწყობს კომიტეტის სისტემაში დაწესებული ფორმებისა და მაჩვენებლების მიხედვით აღრიცხვასა და ანგარიშგებას;

კ) მოაწყობს ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას სისტემის საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ქვესაუწყებო საწარმოების მიერ გადასამუშავებლად და ახალი სახით მისაწოდებლად;

ლ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მეშვეობით განახორციელებს კონტროლს პროდუქციის ხარისხისა და სანიტარიული რეჟიმის დაცვისადმი სისტემის საწარმოებში; უკეთუ დაირღვა მოთხოვნები პროდუქციის ხარისხისადმი ან არ იქნა დაცული სანიტარიული რეჟიმი, შეაჩერებს პროდუქციის გამომუშავებას და მის გაგზავნას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის;

მ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთზიდვის გეგმებს, აგრეთვე მოაწყობს ამ ტვირთების გადაზიდვას სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით;

ნ) დაამტკიცებს ქვესაუწყებო საწარმოების მიერ დამზადებული იმ პროდუქციის ტექნიკურ პირობებს, რომლისთვისაც არ არის დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტები, რაიონული ტექნიკური პირობები, სარაიონთაშორისო ტექნიკური პირობები;

ო) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, შეაჯამებს ამ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს;

ბ) პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით წარადგენს სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებს სამკერდე ნიშნებით და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროების საპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად;

ჟ) გადაანაწილებს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და სამმართველოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების ნამეტს თვიური და კვარტალური ანგარიშების მიხედვით, ხოლო მუშაობის ახალ პირობებზე გადაყვანილი საწარმოებისათვის — წლიური ანგარიშების მიხედვით, რისთვისაც წარადგენს ბანკის მეშვეობით ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

რ) შეცვლის გეგმიანი მოგების ოდენობას კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით, სამეურნეო გეგმების ცვლილებების შესაბამისად, იმ მოგების საერთო ოდენობის ფარგლებში, რომელიც მას დაუმტკიცდა შემოსავალ-გასავლის ბალანსით, საბიუჯეტო გადასახდელთა შეუმცირებლად, რასაც შემდგომ აცნობებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

ს) დაამტკიცებს კომიტეტისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ტრესტების, ორგანიზაციების კრებსითს ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს კრებსითს ანგარიშებსა და ბალანსებს კომიტეტის საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

ტ) მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას სისტემაში, უზრუნველყოფს, უწყებრივი კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვა-შენახვის შემოწმებას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას, კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებასა და სინამდვილეს კომიტეტის სისტემაში, აგრეთვე განახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვა-შენახვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის გადახდევინებისათვის.

7. სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს“ სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

8. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კომიტეტის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა კომიტეტზე დაკისრებული ამოცა-

ნებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი დააწესებს თავმჯდომარის მოადგილეების, სამმართველოთა უფროსების და სხვა ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

10. სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ თავმჯდომარე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან მისცემს მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სისტემის ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებლად, შეამოწმებს მათ შესრულებას.

სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

11. კომიტეტი თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციის ძირითად საკითხებს, და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს ქვესაუწყებო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებებს, კომიტეტის სისტემის განყოფილებებისა და საწარმოების ანგარიშებს.

კომიტეტის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება, როგორც წესი, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. თავმჯდომარესა და კომიტეტის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კომიტეტის წევრებს კი შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. სახელმწიფო კომიტეტთან — „საქკონსერვხილბოსტანთან“ არსებობენ:

ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად;

ბ) უწყებრივი არბიტრაჟი კომიტეტის სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის გადასაწყვეტად. სახელმწიფო კომიტეტის არბიტრაჟს უფლება ენიჭება გასცეს ბრძანებები მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა იძულებითი შესრულებისათვის.

13. სახელმწიფო კომიტეტში — „საქკონსერვხილბოსტანში“ შეიქმნება:

ა) სამეცნიერო ტექნიკური საბჭო იმ რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომლებიც შეეხება სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკის და მოწი-

ნავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებასა და წარმოებაში დანერგვას;

ბ) სადეგუსტაციო კომისია, რომელიც მუშაობს სისტემის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე;

გ) სამხატვრო საბჭო ახალი სახის ტარის, საფუთავი მასალების, ეტიკეტებისა და მზა პროდუქციის სხვა მხატვრული გაფორმების განხილვისა და რეკომენდაციებისათვის;

სამეცნიერო-ტექნიკური და სამხატვრო საბჭოები, აგრეთვე სადეგუსტაციო კომისია შეიქმნება და თავის მუშაობას განახორციელებენ შესაბამისად თვითეული მათგანის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

14. სახელმწიფო კომიტეტის—„საქკონსერვხილბოსტნის“ ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, ქვესაუწყებო ორგანიზაციების სტრუქტურასა და შტატებს სახელმწიფო კომიტეტისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანოების დებულებებს დაამტკიცებს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოები, ტრესტი და განყოფილებები შეიძლება გადაიყვანოს სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ თავმჯდომარემ სამეურნეო ანგარიშზე.

15. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის თათბირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებზედაც მოისმენენ, გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე, მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებზე, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე სახელმწიფო კომიტეტის და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

16. სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ მოაწყობს მშრომელთა წერილების (საჩივრებისა და განცხადებების) დროულად და ყურადღებით განხილვას, ეცდება სწორად გადაწყვიტოს ამ წერილებით დასმული საკითხები, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში მოყვანილ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ადგილი აქვს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

17. სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს“ აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲜᲓᲔᲥᲡᲘ — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1969 год

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-1969 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108, ქაღალდი 8.000 ნაბეჭდი თაბახი 6,0, სააღრიცხვო თაბახი 6,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2450 შეკვეთა № 451

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.

6. 113/119

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ — 76187